

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



თამარ გვენეტაძე

საერთაშორისო ეკონომიკის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ავთანდილ სილაგაძე

თბილისი

2022

შინაარსი

აბსტრაქტი	3
Abstract	8
ცხრილების ჩამონათვალი	12
სურათების ჩამონათვალი	13
დანართების ჩამონათვალი	14
შესავალი	15
თავი 1. კვლევის პრინციპები და მეთოდები.....	21
1.1. ძირითადი პრინციპები და კონცეფციები	21
1. 2. კვლევის ჰიპოთეზა და ანკეტური კვლევის მეთოდები.....	32
თავი 2. მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში	40
2.1. მომხმარებლის ქცევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები	40
2.2. საერთაშორისო ეკონომიკა და მომხმარებლის ქცევა	68
2.3. მომხმარებელთა ქცევა ექსტრემალურ სიტუაციებში	71
თავი 3. ანკეტური კვლევის შედეგები	82
3.1. საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ყიდვითი ქცევის მახასიათებლები	82
3.2. კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე	93
3.3. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლის ყიდვითი ქცევის მახასიათებლები	104
დასკვნები და რეკომენდაციები	120
ბიბლიოგრაფია	125
დანართები	141
გამოქვეყნებული ნაშრომების სია	159
საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების სია	159

აბსტრაქტი

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიქსირდება განსაკუთრებით სწრაფი ზრდა საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლებში, რამაც მსოფლიოს მასშტაბით ფართო საბაზრო შესაძლებლობები შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებამ მომხმარებელს საშუალება მისცა პრაქტიკულად ნებისმიერი შენაძენი საერთაშორისო დონეზე განახორციელოს. გლობალიზაციის ამჟამინდელ ეტაპზე საერთაშორისო ეკონომიკურ ტრენდებს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მომხმარებლის ქცევაზე. მომხმარებლებსაც და მწარმოებლებსაც უხდებათ მრავალმხრივ გამოწვევებთან გამკლავება, რაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებლის ქცევის კვლევას საერთაშორისო ეკონომიკის კონტექსტში. მომხმარებლის ქცევის მახასიათებლების ცვალებადობა განაპირობებს ამ პროცესებზე დაკვირვების და მათი წარმართველი ძალების შემდგომი შესწავლის აუცილებლობას, განსაკუთრებით, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური ექსტრემალური სიტუაციის ფონზე.

გამოქვეყნებულ ლიტერატურაში საქართველოს პირობებში მონაცემები მომხმარებლის ყიდვითი ქცევის შესახებ მწირია, პანდემიის გავლენა კი თითქმის არაა გაშუქებული. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში უცხოეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობის ზრდამ წარმოაჩინა ქართველი მომხმარებლის ქცევაში საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლასთან დაკავშირებული ფაქტორების როლის დადგენის მნიშვნელობა, რაც ასევე სრულყოფილად შესწავლას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ საქართველოში მომხმარებლის ყიდვითი ქცევის შესწავლა და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა კორონავირუსის პანდემიის ფონზე. გამოკვლევის კონკრეტული ამოცანები მოიცავდა:

- საქართველოში მომხმარებლის ყიდვითი ქცევის დახასიათებას და მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენას;
- ქართველი მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე საცხოვრებელი ქვეყნის გავლენის დადგენას საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლის

ყიდვითი ქცევის და მასზე მოქმედი ფაქტორების დახასიათებისა და საქართველოში მცხოვრები ჯგუფის მონაცემებთან შედარების გზით;

- საქართველოში მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის დადგენას და დინამიკაში მისი ცვლილებების შეფასებას.

2020 წლის მარტიდან 2021 წლის სექტემბრის პერიოდში ჩავატარეთ მომხმარებლის ყიდვითი ქცევის ძირითადი ასპექტებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევა საქართველოს მოსახლეობაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებში. გამოკვლევა ჩატარდა კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, სამ ეტაპად, რათა შეგვძლებოდა პანდემიის დროს მომხმარებლის ქცევის დინამიკაში შესწავლა.

გამოკვლევამ საშუალება მოგვცა დეტალურად განგვეხილა ქართველი მომხმარებლის ქცევის აქამდე სათანადოდ შეუსწავლელი ასპექტები. კერძოდ, პირველად მოხდა საქართველოში მომხმარებლის ყიდვითი ქცევის კომპლექსური დახასიათება და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების დადგენა მულტივარიანტული ანალიზით; პირველად დადგინდა უცხოეთში მცხოვრები ქართველების ყიდვითი ქცევის მსგავსებები და განსხვავებები საქართველოს მცხოვრებლების ყიდვით ქცევასთან, რამაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის როლი მომხმარებლის ყიდვით ქცევაში; პირველად იქნა დეტალურად დახასიათებული კორონავირუსის პანდემიის გავლენა ქართველი მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე გრძელვადიან დინამიკაში.

კვლევა ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვის მეთოდით თვითადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენებით. კითხვარი მოიცავდა რესპონდენტის დემოგრაფიულ ინფორმაციას და შეკითხვებს, რომლებიც ასახავდა მომხმარებლის ეკონომიკური სიტუაციის გავლენას ყიდვით ქცევაზე, რესპონდენტების ყიდვით პრაქტიკას და პრეფერენციებს, და კორონავირუსის პანდემიის ზემოქმედებას მომხმარებლის ქცევაზე.

სულ გამოიკითხა ≥ 18 წლის ასაკის 510 ადამიანი, მათ შორის საქართველოში მცხოვრები 414 პირი და საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში გადასული 96 ქართველი

რესპონდენტი. გამოკითხვა ჩატარდა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების და სოციალური ქსელების გამოყენებით. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად, რომლებიც კორონავირუსის პანდემიის სხვადასხვა ფაზებს ასახავდა.

მონაცემთა ანალიზი მოიცავდა პასუხების პროცენტული წილის დადგენას მთლიანობაში და დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. შესყიდვის პრაქტიკის ამსახველ ცვლადებსა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ასოციაციების შესაფასებლად გამოვიყენეთ ბივარიანტული ანალიზი და მრავალვარიანტული ლოგისტიკური რეგრესია.

ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული იქნა აქამდე მიუწვდომელი ინფორმაცია საქართველოში მომხმარებლის ყიდვითი ქცევის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ და გამოვლენილი იქნა მათი კომპლექსური კავშირები დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ:

- ✓ ქართველი მომხმარებლისთვის ყიდვითი გადაწყვეტილების მიღების დროს მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ეკონომიკური მდგომარეობა;
- ✓ მომხმარებლის პირადი ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებებზე არაერთგვაროვნად არის გამოხატული სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში; ეკონომიკური მდგომარეობის ზეგავლენა უფრო მეტად გამოხატულია ქალებში, 30-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში და ამჟამად დაუსაქმებელ პირებში;
- ✓ მაღალია ქართველი მომხმარებლის ინტერესი ძვირადღირებული, ექსკლუზიური, ბრენდის ლოგოს მქონე, გარეგნული იმიჯის გაძლიერების პოტენციალის მქონე პროდუქტების ფლობის მიმართ;
- ✓ ქართველი მომხმარებელი ყიდვით პროცესში ითვალისწინებს ინდუსტრიის წარმომადგებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ოჯახის წევრებისა და მეგობრების არჩევანს და ხარისხიან რეკლამებს;

- ✓ ქართველი მომხმარებლის შესყიდვის გადაწყვეტილებაზე გავლენის ფაქტორები და დამოკიდებულება ძვირადღირებული პროდუქტებისადმი განსხვავდება რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით;
- ✓ კორონავირუსის პანდემიამ განაპირობა ყიდვითი ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილებები და მოახდინა გავლენა ქართველი მომხმარებლის ყველა ჯგუფის სოციალურ აქტივობასა და ყიდვით ქცევაზე, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ასაკის მატებასთან ერთად;
- ✓ პანდემიის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის ზეგავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებაზე; ქართველი მომხმარებლები უფრო ეკონომიური გახდნენ და ფოკუსირდნენ არსებული ბიუჯეტის უფრო ეფექტიანად გადანაწილებაზე და პირველადი მოთხოვნის პროდუქტების შეძენაზე;
- ✓ პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა საქართველოში მცხოვრები მომხმარებლების მიერ შესყიდვებისთვის ონლაინ პლატფორმების გამოყენებამ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შორის, რამაც აჩვენა, რომ საქართველოში მომხმარებლებისთვის მისაღებია შესყიდვების ახალი არხები;
- ✓ საცხოვრებელი გარემოს შეცვლამ გავლენა მოახდინა საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველ მომხმარებელთა ქცევაზე. მათი ყიდვითი ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ქცევისაგან, განსაკუთრებით, რესურსების უკეთ გაკონტროლების, პრიორიტეტების გადაფასების და მეტი პერსონალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ამავე დროს, ყიდვითი ქცევის მთელი რიგი მახასიათებლები ნარჩუნდება საცხოვრებელი გარემოს შეცვლის შემდეგაც. ძირითადად, ეს შეეხება ეფექტიანი სტიმულირების პოტენციური გავლენის ამსახველ ფაქტორებს;
- ✓ ქართველი მომხმარებლები, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ძირითადად ერთნაირად რეაგირებენ პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, თუმცა

საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლები შესყიდვებისათვის გაცილებით უფრო ფართოდ იყენებენ ონლაინ პლატფორმებს.

წინამდებარე კვლევის მიგნებები დაეხმარება საქართველოში მოქმედ კომპანიებს მარკეტინგული და სარეკლამო გადაწყვეტილებების მიღებაში ან კონკრეტული აუდიტორიებისადმი გამიზნული სხვა ინტერვენციების დაგეგმვაში. კვლევის შედეგად გამოვლენილი ყიდვითი ქცევის განმსაზღვრელი კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით დაგეგმილ ეფექტიან სტიმულირების კამპანიას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქართველი მომხმარებლის ქცევაზე.

გარდა ამისა, კვლევით გამოვლენილი პანდემიასთან დაკავშირებული ცვლილებების და მათზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოში სამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციების მიერ პანდემიის შემდგომ ეკონომიკური მაჩვენებლების აღდგენისადმი მიმართული ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებლის ქცევა, ქცევითი ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, COVID -19 პანდემია.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business

Tamara Gvenetadze

Impact of International Economy on Consumer Behavior

Scientific Supervisor: Avtandil Silagadze, PhD (economic sciences),

Academician, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The rapid growth in indicators of international trade observed since the second half of the 20th century created new opportunities for world markets. Development of new technologies allowed consumers the opportunity to shop internationally for practically anything. At the current stage of globalization, international economic trends can influence consumer behavior to a great degree. Both consumers and manufacturers have to cope with multiple challenges which highlights the importance of researching consumer behavior in the context of international economy. Evolving nature of consumer behavior determines the need for monitoring these behaviors and their determinants, particularly in the view of global emergency situation caused by the coronavirus pandemic.

In the published literature, the data on consumer behavior in Georgian setting are very limited and the information with regard to the impact of the pandemic is scarce. In addition, the increase in the number of Georgians living abroad in recent years has highlighted the importance of assessing the role of the factors related to change of the country of residence on the behavior of Georgian consumers, which has not been previously studied.

We set the aim of our study to assessing buying behavior of Georgian consumers and its determinants in the context of the coronavirus pandemic. Specific objectives of the study included the following:

- To describe buying behavior of consumers in Georgia and its determinants;

- To assess the impact of the change of country of residence on buying behavior of Georgian consumers;
- To assess the impact of the coronavirus pandemic on the buying behavior of Georgian consumers.

The study was conducted in three phases during March 2020–September 2021 among residents of Georgia and Georgians currently living in other countries.

The study provided detailed information on previously uncharacterized aspects of Georgian consumer behavior. Specifically, for the first time, we characterized complex character and the interrelation between the determinants of the buying behavior of Georgian consumers using multivariate analysis; identified similarities and differences in buying behavior between Georgians living in their country of origin and elsewhere; and obtained previously unavailable longitudinal data on the impact of the coronavirus pandemic on Georgian consumers buying behavior over the period of one and a half year.

We conducted a survey using self-administered questionnaire which included the respondent's demographic information and questions to assess the impact of the economic situation on respondents' buying behavior, their buying practices and preferences, and the impact of the coronavirus pandemic.

A total of 510 persons aged ≥ 18 years were surveyed, including 414 residents of Georgia and 96 Georgians residing in other countries. The survey was implemented through electronic means of communication and social networks. The three stages of the survey corresponded to different phases of the coronavirus pandemic.

The data analysis included calculation of the percentage of answers to each question by category (overall and by demographic characteristics) and assessing associations between variables using bivariate analysis and multivariate logistic regression.

The study provided previously unavailable information on characteristics of consumer behavior in Georgia and identified their complex interplay with demographic variables. Specifically, we found that:

- ✓ For Georgian consumers, economic situation is the major determinant of purchasing decisions.
- ✓ The impact of consumer's personal economic situation on purchasing decisions varies across demographic groups; the impact of the economic situation is most notable among females, persons aged 30–49 years and those currently not employed.
- ✓ Georgian consumer's interest in owning expensive, exclusive products which display the brand logo and could enhance the owner's image in other people's eye, is high.
- ✓ During the buying process, Georgian consumers take into account the information provided by the industry representatives, choices of their family members and friends, and quality advertisements.
- ✓ The factors influencing Georgian consumers buying decisions and their attitude toward luxury products vary across demographic groups.
- ✓ The coronavirus pandemic caused substantial changes in consumer behavior and impacted social activity and buying practices of all groups of consumers; this impact became more prominent with increasing consumer's age.
- ✓ During the pandemic, the impact of the consumer's financial situation on purchasing behavior further increased; Georgian consumers became more economical and focused on reallocating existing budget more efficiently and buying more practical products.
- ✓ During the pandemic, the use of online platforms for shopping by consumers in Georgia has substantially increased, particularly among younger age group, demonstrating Georgian consumer's readiness to accept new channels for shopping.
- ✓ Change of the country of residence had a noticeable impact on the behavior of Georgian consumers. The buying behavior among Georgian consumers living outside Georgia

differed from that among consumers residing in Georgia in terms of better controlling available resources, reassessing priorities and assuming greater degree of personal responsibility. On the other hand, a number of characteristics of buying behavior related to the factors reflecting the potential impact of effective stimulation measures was preserved irrespective of the place of residence.

- ✓ The response of Georgian consumers to challenges posed by the coronavirus pandemic was largely independent of their place of residence except for wider use of online shopping by Georgian consumers living outside Georgia.

The findings of the present study can help companies operating in Georgia with decision-making regarding advertising choices, planning marketing campaigns and, interventions targeting specific audiences, and help enhance the impact of effective stimulation campaigns.

Information on pandemic-related changes and their determinants identified in this study could help Georgian governmental or private entities with developing effective interventions aimed at post-pandemic recovery of economic indicators.

Key words: consumer behavior, behavioral economics, international economics; COVID-19 pandemic.

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. პროდუქტის ორი მხარის - საქონლის და მომსახურების ურთიერთდამოკიდებულება.

ცხრილი 2. მომხმარებლის ქცევის სხვადასხვა ასპექტის დასახასიათებლად გამოყენებული კითხვები.

ცხრილი 3. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა (N=414) მახასიათებლები .

ცხრილი 4. საქართველოს ფარგლებს გარეთ და საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების მახასიათებლები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით.

ცხრილი 5. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე მომხმარებლის ეკონომიკური სიტუაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით.

ცხრილი 6. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით.

ცხრილი 7. კვლევაში ჩართულ რესპონდენტთა მიერ ყიდვით ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე გაცემული პასუხები რეზიდენტობის ადგილის მიხედვით.

სურათების ჩამონათვალი

სურათი 1. საქონლის სამი დონე.

სურათი 2. მასლოუს საჭიროებათა იერარქია.

სურათი 3. მიკროგარემოს შემადგენელი კომპონენტები.

სურათი 4. მაკროგარემოს შემადგენელი კომპონენტები.

სურათი 5. საქართველოში დღიურად რეგისტრირებული COVID-19-ის შემთხვევები პანდემიის დაწყებიდან კვლევის პერიოდის დასრულებამდე (2020 წლის თებერვალი-2021 წლის სექტემბერი).

სურათი 6. მყიდველის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

სურათი 7. მომხმარებელთან კომუნიკაციის დამყარების AIDA (Attention, Interest, Desire, Action) მოდელი.

სურათი 8. სოციო-ეთიკური მარკეტინგი.

სურათი 9. ფასეულობათა მიწოდების სისტემის ფუნქციონირება.

სურათი 10. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ყიდვით გადაწყვეტილებებზე ეკონომიკური სიტუაციის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე.

სურათი 11. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ყიდვითი ქცევისა და პრეფერენციების შესაფასებელ კითხვებზე.

სურათი 12. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები მომხმარებლის ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე.

სურათი 13. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ეკონომიკური სიტუაციის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით.

სურათი 14. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით.

სურათი 15. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები კორონავირუსის პანდემიის უშუალო ზეგავლენასთან დაკავშირებულ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით.

დანართების ჩამონათვალი

დანართი 1. მომხმარებელთა ყიდვითი ქცევის კვლევის კითხვარი.

დანართი 2. მომხმარებლის ყიდვითი ქცევის კვლევა – საქართველოში მცხოვრები რესპონდენტების (N=414) პასუხები კვლევაში დასმულ შეკითხვებზე ლიკერტის 7-კატეგორიიანი სკალის მიხედვით.

დანართი 3. მომხმარებლის ყიდვითი ქცევის კვლევა – საქართველოს გარეთ მცხოვრები რესპონდენტების (N=96) პასუხები კვლევაში დასმულ შეკითხვებზე ლიკერტის 7-კატეგორიიანი სკალის მიხედვით.

შესავალი

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებლებში ფიქსირდება სწრაფი ზრდა, რამაც მსოფლიოს მასშტაბით ფართო საბაზრო შესაძლებლობები შექმნა. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებამ მომხმარებელს საშუალება მისცა პრაქტიკულად ნებისმიერი შენაძენი საერთაშორისო დონეზე განახორციელოს. გლობალიზაციის ამჟამინდელ ეტაპზე საერთაშორისო ეკონომიკურ ტრენდებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის საშუალება აქვთ მომხმარებლის ქცევაზე. მომხმარებლებსაც და მწარმოებლებსაც უხდებათ მრავალმხრივ გამოწვევებთან გამკლავება. ასეთ პირობებში აქტუალურია მომხმარებლის მუდმივად ცვალებად ქცევაზე საერთაშორისო ეკონომიკის ზეგავლენის კვლევა. მომხმარებლების ქცევის საფუძვლიანი კვლევა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ბაზარზე ოპერირებადი კომპანიებისათვის. სხვადასხვა გარემოებებში მყოფ მომხმარებლებს შესაძლოა ბევრი საერთო ჰქონდეთ, მაგრამ შესყიდვებისას შეიძლება განსხვავებულ ქცევას ავლენდნენ.

მიუხედავად ადრე ჩატარებული კვლევებისა, რომლებიც საერთაშორისო ბაზრის პირობებში მომხმარებლის ქცევასა და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს აშუქებდნენ, მომხმარებლის ქცევის და მისი ფაქტორების მახასიათებლების მუდმივი ცვალებადობა განაპირობებს ამ პროცესებზე დაკვირვების და მათი წარმმართველი ძალების შემდგომი შესწავლის აუცილებლობას.

მომხმარებელთა ქცევის კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ისეთი გლობალური ექსტრემალური სიტუაციის ფონზე, როგორიცაა კორონავირუსის პანდემია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოში განვითარებულ არც ერთ სხვა ნეგატიურ მოვლენას - ეკონომიკურ კრიზისს, პოლიტიკურ არეულობას, ბუნებრივ თუ ანთროპოგენულ კატასტროფებს არ გამოუწვევიათ იმ მასშტაბის ცვლილებები საერთაშორისო ბაზარზე და მომხმარებელთა ქცევაში, როგორც კორონავირუსს.

პანდემიის კონტროლის ზომებმა, როგორცაა ჩაკეტვები და სოციალური დისტანცირება, სამუშაო ადგილების მასობრივად დაკარგვასთან, ტრანსპორტირებისა და მიწოდების ჯაჭვების შეფერხებასთან ერთად გამოიწვია უზარმაზარი ზეგავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. COVID-19 პანდემია აღმოჩნდა მთავარი საფრთხე როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, ასევე ეკონომიკების უმეტესობისთვის (Donthu & Gustaffson, 2020; McKinsey and Company, 2020). კრიზისმა შეაფერხა ბიზნეს ოპერაციები და დააზიანა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური საქმიანობა. ამ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო, მომხმარებლები მთელ მსოფლიოში იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ ჩვეული ყიდვითი ქცევა.

პანდემიის მიმდინარეობის დროს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების და ანტივირუსული პრეპარატების გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა დაავადების დინამიკა და შეამცირა სიკვდილიანობა (Moghadas და სხვ., 2022), რამაც შესაძლებელი გახადა დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება თუ სრულად მოხსნა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროცესები მომხმარებლის ქცევაზე - პანდემიის პერიოდის რომელი ცვლილებები დარჩება და რომლები აღმოჩნდება გარდამავალი ხასიათის მქონე. ამ საკითხების დეტალური შესწავლა აუცილებელია, რათა კომპანიებმა შეძლონ მომავალი მუშაობის სათანადო ადაპტაცია შეცვლილი პირობებისათვის.

საქართველოში ეკონომიკურ მაჩვენებლებზე COVID-19-ის პანდემიის გავლენის ხარისხი არსებითი იყო, რაც აჩვენა მოსახლეობის ერთსულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ; იგივე მშპ) კლებამ 2019 წელს 4686.2 ამერიკული დოლარიდან 2020 წელს 4275 დოლარამდე, რასაც თან ახლდა რეალური მსპ-ს ზრდის 5.0%-დან - 6.2%-ით შემცირება. ამავე პერიოდში მოხდა როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის შემცირების დაახლოებით 1/3-ით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თითქმის 4-ჯერ შემცირდა (Silagadze, A., Atanelishvili, T. Silagadze, N. 2022) გარდა ამისა, პანდემიამ გლობალური მასშტაბით საფუძვლიანი ზეგავლენა იქონია ინდივიდების დონეზეც (Di Crosta და სხვ., 2022; Tao და სხვ., 2022).

გამოქვეყნებულ ლიტერატურაში საქართველოს პირობებში მომხმარებლის ქცევის შესახებ მონაცემები მწირია, პანდემიის გავლენა კი თითქმის არაა გაშუქებული. პანდემიის დასაწყისში ჩატარებულმა ორმა მცირე კვლევამ აჩვენა საქართველოში მომხმარებელთა შემფოთების მაღალი დონე და მნიშვნელოვანი ცვლილებები მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში - ჰიგიენურ წესებში, სამუშაო მდგომარეობაში, მობილურობაში და ა.შ. (Business Media Georgia, 2020; მირი, 2020).

მომხმარებელთა ქცევა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით. მათ შორისაა ეკონომიკური და ფინანსური რესურსები, ოჯახური და სოციალური ურთიერთობები, სოციალური ღირებულებები, მოტივაციები, კულტურული გარემო და ა.შ. თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილიდან განსხვავებული კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ლანდშაფტის მქონე გარემოში გადასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა ქცევის არსებითი ცვლილებები (Kizgin, 2011; Narayan & Kankahalli, 2021).

ბოლო პერიოდში საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების რაოდენობის ზრდამ შემოიტანა ქართველი მომხმარებლის ქცევაში საცხოვრებელი ქვეყნის და, შესაბამისად, კულტურულ-ეკონომიკური თუ სოციალური კონტექსტის გამოცვლასთან დაკავშირებული დამატებითი ასპექტები, რაც ასევე შეუსწავლელია. ძალიან განსხვავებული კონტექსტის მქონე საცხოვრებელ გარემოში გადასვლასთან დაკავშირებული სამომხმარებლო ქცევის პოტენციური ცვლილებების შესასწავლად ჩვენ შევადარეთ მომხმარებლის ქცევა საქართველოს მაცხოვრებლებსა და საქართველოდან სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად გადასულ პირებს შორის.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტიდან 2021 წლის სექტემბრის პერიოდში ჩავატარეთ მომხმარებლის ქცევის ძირითადი ასპექტებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოკვლევა საქართველოს მოსახლეობაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებში; გამოკვლევა ჩატარდა ეტაპობრივად, რათა შეგვძლებოდა კორონავირუსის პანდემიის პირობებში მომხმარებლის ქცევის დინამიკაში შესწავლა.

კვლევის მიზანი. საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, კვლევის ზოგადი მიზანია მომხმარებლის ქცევაზე საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობის ზეგავლენის დადგენა, აგრეთვე მასზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესწავლა.

სადისერტაციო კვლევის *ობიექტია* მომხმარებლის ქცევა, კვლევის *სუბიექტი* კი საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები 18 და მეტი წლის ასაკის ქართველი მომხმარებლები.

სადისერტაციო კვლევის *საგანია* - მომხმარებლის ქცევის კონკრეტული მახასიათებლები და მათთან პოტენციურად დაკავშირებული დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, ემოციური, ქცევითი, გეოგრაფიული ფაქტორები, აგრეთვე ექსტრემალური სიტუაციის - კორონავირუსის პანდემიის პროცესი. კორონავირუსის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე ასევე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რომელიც ჯერ სრულყოფილად შესწავლილი არ არის.

კვლევის კონკრეტული *ამოცანებია* საქართველოს პირობებში მომხმარებლის ქცევის ძირითადი მახასიათებლების და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენა პანდემიის ფონზე:

- საქართველოში მომხმარებლის ქცევის გარკვეული ასპექტების დახასიათება;
- საქართველოში მომხმარებლის ქცევის კონკრეტულ ასპექტებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლის ქცევის გარკვეული ასპექტების დახასიათება;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლის ქცევის კონკრეტულ ასპექტებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- ქართველი მომხმარებლის ქცევაზე საცხოვრებელი ქვეყნის გავლენის დადგენა;
- ქართველი მომხმარებლის ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის დადგენა და დინამიკაში მისი ცვლილებების შეფასება.

სადისერტაციო ნაშრომის საფუძველია საკვლევ პრობლემაზე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, მოქმედი კანონმდებლობა, სამამულო და საერთაშორისო სტატისტიკური მასალები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი *მეთოდები*: *ემპირიული* (დაკვირვება, მონაცემთა შედარება, ანკეტური გამოკითხვა,) და *თეორიული* (ჰიპოთეტური, აბსტრაქცია, ანალიზი-სინთეზი, მონაცემთა აღწერილობითი და შედარებითი ანალიზი ბივარიანტული და მრავალვარიანტული ანალიზის გამოყენებით). მათგან გამოვყოფთ *ჰიპოთეტურ* და *ანკეტური* კვლევის მეთოდებს.

კვლევის მეცნიერული სიახლეა: საქართველოში მიმდინარე პერიოდში მომხმარებლის ყიდვითი ქცევის კომპლექსური გამოკვლევის მცდელობა. კერძოდ, კვლევის შედეგად:

- მულტივარიანტული ანალიზის გამოყენებით დადგინდა ურთიერთდამოკიდებულებები ყიდვითი ქცევის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის;
- დადგინდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისა და საქართველოში მაცხოვრებლების ყიდვითი ქცევების საერთო და განმასხვავებელი თავისებურებები;
- აღიწერა კორონავირუსის პანდემიის გავლენა ქართველი მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 160 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. ძირითად ტექსტში (124 გვ.) წარმოდგენილია, 15 სურათი და 7 ცხრილი. ტექსტის ძირითად ნაწილს თან ერთვის დისერტანტის მიერ

გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების და კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებების სია, გამოყენებული ლიტერატურის სია, და დანართები.

სადისერტაციო ნაშრომის *პირველ თავში*, „*კვლევის პრინციპები და მეთოდები*“ განხილულია: ძირითადი პრინციპები და კონცეფციები, კვლევის ჰიპოთეზა და ანკეტური კვლევის მეთოდები.

ნაშრომის *მეორე თავში*, „*მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში*“ გამოკვლეულია: მომხმარებლის ქცევა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები; საერთაშორისო ეკონომიკა და მომხმარებლის ქცევა და მომხმარებელთა ქცევა ექსტრემალურ სიტუაციებში.

მესამე თავში, „*ანკეტური კვლევის შედეგები*“ შეჯამებულია ანკეტური კვლევის შედეგები შემდეგ საკითხებზე: საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ყიდვითი ქცევის მახასიათებლები, კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ქცევაზე და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მომხმარებლის ყიდვითი ქცევის მახასიათებლები.

თავი 1. კვლევის პრინციპები და მეთოდები

1.1. ძირითადი პრინციპები და კონცეფციები


ბიზნესი, როგორც კომპანიის მოგებაზე ორიენტირებული აქტივობა, მომხმარებელს სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას, რომელიც მიმართულია მომხმარებლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. მოგებაზე ორიენტირებული კომპანიებისათვის ძირითადი საკითხია ფინანსური მიზნების მიღწევა და მოგების მიღება, მაგრამ თანამედროვე პირობებში გათვალისწინებული უნდა იქნას მომხმარებლის ქცევის მნიშვნელობა და ის ფაქტი, რომ შეუძლებელია კომპანიამ დიდ მოგებას მიაღწიოს ერთგული მომხმარებლების არსებობის გარეშე. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს მომხმარებლის ქცევის ანალიზი და დეტალური შესწავლა.

საქონელი წარმოადგენს მომხმარებლისათვის საჭირო სარგებლის ფიზიკურ ფორმას. ნებისმიერ საქონელს გააჩნია 3 მთავარი დონე, რომელთა მიხედვითაც მომხმარებელი იღებს გადაწყვეტილებას მისი შეძენის შესახებ (სურათი 1). ეს დონეებია:

- ძირითადი სარგებელი- რომელიც გულისხმობს იმ ძირითადი და მთავარი მიზეზის შეცნობას, თუ რატომ ყიდულობს მომხმარებელი ამა თუ იმ პროდუქტს. მაგალითად, ელექტრო ჩაიდანს მომხმარებელი ყიდულობს წყლის ადუღების მიზნით;
- რეალური პროდუქტი- აქ უკვე მომხმარებელი აკვირდება საბაზრო შეთავაზებას და არჩევს ჩაიდნის დიზაინს, ნიშან-თვისებებს, ბრენდის სახელს და ხარისხის დონეს;
- გაზვიადებული პროდუქტი- აღნიშნული დონე მოიცავს მომხმარებლისათვის ისეთი დამატებითი შეთავაზების გაკეთებას, როგორცაა: გარანტია, ინსტალაცია, მიწოდება და ყიდვის შემდგომი მომსახურება;

მომხმარებლის ქცევაზე თითოეულ დონეს შეიძლება ქონდეს გავლენა იქედან გამომდინარე, თუ რა წარმოადგენს მომხმარებლისათვის ძირითად სარგებელს.

ბიზნესებმა უნდა იცოდნენ მომხმარებლის მოთხოვნილება და გაზვიადებული პროდუქტის შეთავაზების მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს იმ პროდუქტის შეძენას, რომლებიც ფუნქციურად ესაჭიროებათ და დამატებით სარგებელსაც სთავაზობს.



სურათი 1. საქონლის სამი დონე (Kotler P, Armstrong G Principles of Marketing, 2013) გვ. 272.

ბიზნესები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: საქონლის მწარმოებელ და მომსახურების მიმწოდებელად, თუმცა რეალურად, ორივე მათგანი მოიცავს როგორც

საქონელს, ისე მომსახურებას, რომლებიც პროდუქტის ორ მხარეს წარმოადგენს და მომხმარებლის ქცევა ორივესთვის მნიშვნელოვანი ასპექტია. მომსახურება საქონლისგან ოთხი ძირითადი მახასიათებლით განსხვავდება, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. პროდუქტის ორი მხარის - საქონლის და მომსახურების

ურთიერთდამოკიდებულება (ადაპტირებულია Kotler P, Armstrong G. Principles of Marketing, 2013, გვ. 297-დან).

<i>მახასიათებლები</i>		<i>საქონელი</i>	<i>მომსახურება</i>
<i>არამატერიალურობა</i>	<i>შეძენამდე შესაძლებელია მისი დანახვა, გასინჯვა, შეგრძნება, ან ყნოსვა</i>	✓	X
<i>განუყოფლობა</i>	<i>შესაძლებელია მიმწოდებლისგან მისი განცალკევება</i>	✓	X
<i>ჰეტეროგენულობა</i>	<i>ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ, როდის, სად და როგორ სთავაზობს მას მომხმარებელს</i>	X	✓
<i>მალფუჭებადობა</i>	<i>შესაძლებელია მისი შენახვა შემდგომი გამოყენებისათვის</i>	✓ ან X	X

უფრო ვრცლად თითოეულის მახასიათებლის შესახებ:

- *არამატერიალურობა* - გულისხმობს იმას, რომ მომსახურების წინასწარ შეგრძნება, გასინჯვა ან შემოწმება შეუძლებელია მის მოხმარებამდე, მაშინ როდესაც საქონლის შემთხვევაში ეს შესაძლებელია მომსახურების შეძენამდე მომხმარებელზე მოქმედებს ის გარემო, სადაც იყიდება კონკრეტული შეთავაზება.

- *ჰეტეროგენულობა* - მოიცავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შეუძლებელია მომსახურება იყოს იდენტური და აუცილებლად მოიძებნება განსხვავებები მომსახურების ხარისხში, რაც დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ, სად, როდის და რა პირობებში აწვდის მომსახურებას მომხმარებელს. მისგან განსხვავებით, საქონლის შემთხვევაში ამ ერთგვაროვნების მიღწევა უფრო შესაძლებელია;

- *განუყოფლობა* - გულისხმობს მომხმარებლისა და მიმწოდებლის განუყოფლობის მნიშვნელობას. მომსახურების შემთხვევაში შეუძლებელია მომხმარებელი და მიმწოდებელი ერთმანეთს მოშორდნენ პროცესის დასრულებამდე;

- *მალფუჭებადობა* - სერვისის სიცოცხლის ხანგრძლივობის სიმცირეზე მიუთითებს. განსხვავებით საქონლისაგან, შეუძლებელია მიღებული მომსახურების ხანგრძლივი დროით შენახვა და შემდგომი გამოყენება.

მომხმარებლის ქცევის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით ბიზნესებს ეძლევათ შესაძლებლობა ბიზნესის წარმოების დროს უფრო ეფექტიანად იქნას გამოყენებული ეკონომიკური აქტიურობის ძირითადი ხელშემწყობი საწარმოო ფაქტორები, როგორცაა:

- ბუნებრივი რესურსები;
- ადამიანური რესურსები;
- კაპიტალი;
- წარმოებრივი უნარი;
- ცოდნა.

ტრადიციულად, ბუნებრივი რესურსებით (მაგალითად, ნავთობით, გაზით, ძვირფასი და იშვიათ მიწიანი ლითონებით და ა. შ.) მდიდარ ქვეყნებს მოიაზრებენ როგორც კონკურენტული უპირატესობის მქონე ქვეყნებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მაღალი ინტელექტუალური კაპიტალის არსებობა. ჩვენს დროში კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ კაპიტალი მსოფლიოს ერთი ბოლოდან და შეიძინონ საჭირო მასალები

მსოფლიოს მეორე წერტილიდან, წარმოება კი განავითარონ სულ სხვა ქვეყანაში. ასეთ პირობებში უპირატესობას ფლობს ის ქვეყანა, სადაც უფრო მაღალ დონეზეა თანამშრომელთა ცოდნა და უნარები და ღია ეკონომიკური სისტემა.

მოთხოვნა და მიწოდება. იმისათვის, რომ კომპანიამ მოახერხოს მომხმარებლების ქცევის შესწავლა და მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება, აუცილებელია კარგად იქნას აღქმული თუ რა მოქმედებს მოთხოვნაზე. მომხმარებლის მოთხოვნის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:


- მომხმარებლის შემოსავალი;
- მომხმარებლის მიერ შეთავაზებისათვის მინიჭებული უპირატესობა;
- შემცველი პროდუქტის ფასი;
- მსგავსი პროდუქციის ფასები;
- მომხმარებლის მოლოდინი სამომავლო ფასებთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ მოხდეს მომხმარებლისათვის იმის შეთავაზება რაც მათ სურთ, აუცილებელია ყველა ამ ფაქტორის ზემოქმედების შესწავლა სამიზნე სეგმენტში და შესატყვისი შეთავაზების გაკეთება. მიწოდება უნდა მოხდეს მომხმარებლების საჭიროებიდან გამომდინარე. შესაძენი პროდუქციის ფასი უნდა შეესაბამებოდეს იმ ფარგლებს, რისი გადახდის სურვილი და შესაძლებლობაც აქვს მომხმარებელს. მოთხოვნა წარმოადგენს მომხმარებლის სურვილს, რომელიც შესყიდვის ფინანსური შესაძლებლობით არის გამყარებული. თუკი მომხმარებელს არ ექნება შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა, ის ვერ მოახერხებს ბაზარზე მოთხოვნის შექმნას. კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი და წარმოების ხარჯებშიც კი მოახდინონ აღნიშნულის გათვალისწინება.

ამრიგად, რაც არ უნდა უნიკალური და საუცხოო იყოს ბიზნესი, იგი ვერ იფუნქციონირებს თუკი არ ეყოლება სათანადო რაოდენობა იმ მომხმარებლებისა, რომლებიც თანახმა იქნებიან თანხა გადაიხადონ. კომპანიებმა მუდმივად უნდა ადევნონ

თვალ-ყური საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რათა არ გამორჩეთ გლობალურ ბაზარზე არსებული ცვლილებები. არ არსებობს ისეთი ცნება, როგორცაა მუდმივი კონკურენტული უპირატესობა, ამიტომ საჭიროა, რომ ბიზნესი მუდმივად განვითარდეს და ახალი შესაძლებლობები ეძებოს.

მასლოუს საჭიროებათა იერარქია. მასლოუს იერარქია წარმოადგენს საჭიროებების იერარქიას, რომელიც მასლოუმ შემოიმუშავა 1943 წელს (Maslow, 1943). მასლოუს მიხედვით, მომხმარებელთა საჭიროებები იერარქიული ფორმით პირამიდაშია განაწილებული (სურათი 2). ეს საჭიროებებია:



სურათი 2. მასლოუს საჭიროებათა იერარქია (McCarthy, J., Perreault, W.D., Basic Marketing A Global Managerial Approach, 1993, გვ. 206).

- *ფიზიოლოგიური საჭიროება.* ფიზიოლოგიური საჭიროებები წარმოადგენს საბაზისო საჭიროებებს, რომელიც საჭიროა ადამიანის სიცოცხლისათვის. მაგალითად, ჰაერი, წყალი, საკვები, ძილი და ა.შ.;

- *უსაფრთხოების საჭიროება.* ფიზიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ მომხმარებლებს უჩნდებათ სურვილი ქონდეთ უსაფრთხოების შეგრძნება. აქ იგულისხმება ფსიქოლოგიური უსაფრთხოების შეგრძნება, უსაფრთხო გარემოში ცხოვრება, სამსახურეობრივი უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, სამედიცინო დაზღვევის ქონა. ასეთი მიდგომის მიხედვით, თუკი მომხმარებელი არ გრძნობს თავს დაცულად, ის საკუთარ საჭიროებებს მომდევნო საფეხურზე არ გადაიტანს;

- *სოციალური საჭიროება.* როდესაც მომხმარებელი თავს დაცულად გრძნობს ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების შეგრძნების დაკმაყოფილებით, მისი ყურადღება გადადის სოციალური სურვილების დაკმაყოფილებისაკენ. აქ იგულისხმება მიკუთვნებულობა კონკრეტული ჯგუფების - ოჯახის, მეგობრების, სოციალური ჯგუფების მიმართ. ამ საფეხურზე პიროვნებისათვის მნიშვნელოვანია, ქონდეს პატივისცემა და აღიარება;

- *პირადი საჭიროება.* მას შემდეგ, რაც ადამიანი იკმაყოფილებს სოციალურ საჭიროებას, მნიშვნელობას იძენს თვითშეფასების და აღიარების შეგრძნება. ამ საფეხურზე პიროვნება არის იმდენად რეალიზებული, რომ სხვები იჩენენ მათ მიმართ ინტერესს განსაკუთრებული ექსპერტული ცოდნის გამო. მასლოუს იერარქიის პირამიდის თავში დგას თვითრეალიზების საჭიროება. ამ საფეხურზე ადამიანი აღწევს საკუთარ სრულ პოტენციალს, როგორც პიროვნება.

ამრიგად, აღნიშნული იერარქიის ცოდნა და შესწავლა კომპანიებს ეხმარებათ ეფექტიანი საბაზრო შეთავაზებების გაკეთებაში ვინაიდან ის მოიცავს მომხმარებლის ქცევის, სურვილების, საჭიროებების და ინტერესების შესწავლას.

კომპანიის მიკრო და მაკრო გარემოები. გარემოს ცვლა სწრაფად და უწყვეტად მიმდინარეობს. შესაბამისად, კომპანიებმა უნდა მოახდინონ იმ ძირითადი გარემოს შესწავლა, რომელშიც მათ მუშაობა უხდებათ.


გარემო მოიცავს გარე მონაწილე ძალებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის მართვის და კონკრეტულ ბაზარზე ოპერირების უნარზე. აგრეთვე, მომხმარებლის ქცევაზე. წარმატებულ კომპანიებს გაცნობიერებული აქვთ ცვალებად გარემო პირობებზე მუდმივი დაკვირვებისა და მასთან ადაპტაციის მნიშვნელობა. ნებისმიერი კომპანია მუდმივად უნდა იყოს თანამედროვე ტენდენციების მიმდევარი და ახალ შესაძლებლობათა მაძიებელი, ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია მომხმარებელთა ქცევის შესწავლის მეშვეობით.

ნებისმიერი კომპანია ფუნქციონირებს როგორც მიკრო- ისე მაკროგარემოში. როგორც ეს ნაჩვენებია სურათებში 3 და 4.

მიკროგარემოში (სურათი 3) შედიან ისეთი ძალები, როგორებიცაა:

- კომპანია;
- მომწოდებლები;
- მარკეტინგული შუამავლები;
- მომხმარებლები;
- კონკურენტები;
- საზოგადოება.

თითოეულ ამ ფაქტორს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. რაც უფრო მალე მოახდენენ კომპანიები აღნიშნული საკითხის გააზრებას, მით უფრო გაუადვილდებათ მათ რეალურ გარემოში მუშაობა და მომხმარებლების ნდობის მოპოვება.




სურათი 3. მიკროგარემოს შემადგენელი კომპონენტები (Kotler P, Armstrong G, *Principles of Marketing*, 2013).

ორგანიზაცია და მიკროგარემოს ყველა სხვა მონაწილე ძალები მოქმედებენ უფრო დიდ მაკროგარემოში, რომელიც კომპანიისათვის ქმნის როგორც შესაძლებლობებს აგრეთვე საფრთხეებსაც. კომპანიის მაკროგარემოზე ზეგავლენას ახდენენ შემდეგი ძირითადი ძალები (სურათი 4):

- დემოგრაფიული;
- ეკონომიკური;

- ბუნებრივი;
- ტექნოლოგიური;
- პოლიტიკური;
- კულტურული.



სურათი 4. მაკროგარემოს შემადგენელი კომპონენტები (Kotler P, Armstrong G, Principles of Marketing, 2013).

ნებისმიერი ტიპის კომპანიის ხელმძღვანელობა კარგად უნდა აცნობიერებდეს მიკროგარემოსა და მაკროგარემოს მნიშვნელობას. წარმატებული კომპანიები წლების მანძილზე ცდილობენ საზოგადოების კეთილდღეობისათვის გამოიყენონ გარემოში

არსებული შესაძლებლობები და თავი აარიდონ გარედან მომდინარე საფრთხეებს. შესაძლოა ორგანიზაციის არსებობის მანძილზე ქვეყანაში იყო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა სახის პრობლემები, მაგრამ სწორი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების და კორექტულად შერჩეული სტრატეგიების შედეგად კომპანიის საქმიანობა არ დაზიანდეს.

მაგალითად, გავანალიზოთ დემოგრაფიული ძალის ეფექტი კომპანიის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე. დემოგრაფია მოიცავს მოსახლეობის შესწავლას ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა მათი რაოდენობა, ადგილმდებარეობა, ასაკი, სქესი, საქმიანობა და სხვ. დემოგრაფიული გარემოს ზემოქმედება უმნიშვნელოვანესია კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ვინაიდან იგი მოიცავს იმ ადამიანების ქცევის შესწავლას, რომელთა გარეშეც ვერც ერთი კომპანია ვერ იარსებებს - მომხმარებლებს, რომლ/ებიც შენამენს ახორციელებენ.

ეკონომიკური ძალის განხილვის დროს იკვეთება ისეთი პრობლემები როგორებიცაა, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა და გარემო პირობები. ნებისმიერი სახის მოთხოვნა-მიწოდებაზე დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლების ეკონომიკური მდგომარეობაც.

ეკონომიკური სტრატეგიების დაგეგმვისას ბაზარზე სწორად მორგებული და ორიენტირებული სტრატეგიის შერჩევა უნდა მოხდეს. სტრატეგიის შერჩევის შემდეგ ხდება პოტენციურ მომხმარებელთან კომუნიკაციის გამყარება და გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება.

ამრიგად, მაკროგარემოსა თუ მიკროგარემოში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობა ნებისმიერი კომპანიისათვის ფართოდ გასათვალისწინებელია ვინაიდან მოქმედებს და წარმართავს მომხმარებლის ქცევას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე.

1.2. კვლევის ჰიპოთეზა და ანკეტური კვლევის მეთოდები

კვლევის ჰიპოთეზა. სადისერტაციო გამოკვლევა ემყარება ზოგად ჰიპოთეზას, რომ საქართველოში მომხმარებლის ქცევა განისაზღვრება დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, ქცევითი, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების და მარკეტინგული კამპანიების კომპლექსური ურთიერთქმედებით, რაც დინამიურ ხასიათს ატარებს და ცვლილებებს განიცდის ექსტრემალური სიტუაციის - კორონავირუსის პანდემიის განვითარების კვალდაკვალ.

კონკრეტულად, განხილული იქნა შემდეგი ჰიპოთეზები:

- მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობა ახდენს გავლენას მათ მიერ შეძენილ საქონელსა თუ მომსახურებაზე;
- ეფექტიანი სტიმულირების კამპანიას შეუძლია გავლენის მოხდენა მომხმარებლის ქცევაზე;
- მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანია ინდუსტრიაში დასაქმებული პერსონალის აზრი;
- ერთი და იგივე ქვეყნიდან წარმომავალი, მაგრამ განსხვავებულ ქვეყნებში მაცხოვრებელი მომხმარებლები განსხვავებულ ყიდვით ქცევას ავლენენ;
- კორონავირუსის პანდემიამ შეცვალა მომხმარებლის ქცევა;
- კორონავირუსული პანდემიის პირობებში მომხმარებელი უფრო მეტად ეკონომიური გახდა;
- კორონავირუსის პანდემიის დროს მომხმარებელმა გამოავლინა მიმღებლობა შესყიდვების ახალი პლატფორმებისადმი.

ანკეტური კვლევის მეთოდი. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის პროცესში ვითვალისწინებთ, რომ შევაფასოთ მომხმარებელთა დამოკიდებულება შესყიდვების

პროცესის გარკვეული ასპექტების მიმართ, მათზე მოქმედი ფაქტორები და ასევე კორონავირუსის პანდემიის გავლენა მომხმარებლებზე საქართველოში.

კვლევა ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. ძირითად გამოსაკვლევ სუბიექტებს შეადგენდა საქართველოში მცხოვრები მომხმარებლები 18 და მეტი წლის ასაკიდან. ამავე დროს, იმ მიზნით რომ შეგვეფასებინა საცხოვრებელი ადგილის (ქვეყნის) გავლენა ყიდვით ქცევებზე და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებზე, შევისწავლეთ საქართველოში დაბადებული და ამჟამად უცხოეთში მცხოვრები ქართველების ჯგუფიც. ჩვენ გამოკითხეთ 18 და მეტი წლის ასაკის პირები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ საქართველოში, მაგრამ ახლა ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, ქვეყნებში რომლებიც თავისი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სტრუქტურებით ძალიან განსხვავდება საქართველოსგან.

გამოკვლევა ჩატარდა ქართულ ენაზე სპეციალურად ამ კვლევისათვის შედგენილი თვითადმინისტრირებადი კითხვარის გამოყენებით (დანართი 1). გამოკვლევის ინსტრუმენტი ასახავდა მონაწილეთა ძირითად დემოგრაფიულ მახასიათებლებს და მოიცავდა შეკითხვებს ყიდვით ქცევებსა და პრეფერენციებთან დაკავშირებით, ასევე ყიდვით პრაქტიკაზე მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის და ეფექტიანი სტიმულაციის სტრატეგიის გავლენის შესახებ. ჩვენ ასევე დავსვით კითხვები COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ყიდვითი ქცევის ცვლილებებთან დაკავშირებით. კვლევის დროს დასმული კითხვები ჯგუფების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 2.

თითოეულ კითხვაზე პასუხის ვარიანტები მოიცავდა შვიდ კატეგორიას ლიკერტის სკალის მიხედვით:

- სრულიად არ ვეთანხმები;
- არ ვეთანხმები;
- ნაწილობრივ არ ვეთანხმები;

ცხრილი 2. მომხმარებლის ქცევის სხვადასხვა ასპექტის დასახასიათებლად გამოყენებული კითხვები

შეკითხვები
<i>მომხმარებლის ეკონომიკური სიტუაციის გავლენის ამსახველი კითხვები:</i>
ჩემს მიერ არჩეული პროდუქტები/სერვისები იცვლება ჩემს ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად.
ჩემი ფინანსური მდგომარეობა მოქმედებს ჩემს ყიდვით გადაწყვეტილებებზე.
ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად გამიგრძელებია პროდუქციის შეძენა.
სხვებისთვის მითხოვია ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ საყიდლებზე, რათა არ დამეხარჯა ზედმეტად დიდი თანხა.
ზოგიერთ მაღაზიაში შესვლას შეგნებულად ავრიდებივარ, რათა ზედმეტი შეძენა თავიდან ამერიდებინა.
გავღიზიანებულვარ, როდესაც პროდუქტის ყიდვა ვერ შევძელი.
<i>ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის ამსახველი კითხვები:</i>
ვცდილობ, ინფორმაცია იმ პროდუქტის შესახებ, რომლის შეძენაც მსურს, მოვიპოვო ინდუსტრიაში მომუშავე პერსონალისაგან.
ჩემი ოჯახის წევრების და მეგობრების პრეფერენციები ახდენს გავლენას ჩემს მიერ შეძენილ პროდუქტზე.
ვცდილობ შევიძინო ისეთი პროდუქცია, რომელიც სხვების თვალში ჩემს იმიჯს გაზრდის.
თუკი ვამჩნევ, რომ ის პროდუქტი, რომლის შეძენაც მინდა ბევრ ადამიანს აქვს, ვიცვლი აზრს, რადგან უნიკალურობა აღარ იქნება.
ფუფუნების პროდუქტების შეძენა გამაბედნიერებდა.
პირადად ჩემთვის ფუფუნება ხარისხს ნიშნავს.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტის ლოგო თვალსაჩინო იყოს.
რეკლამის ხარისხი ცვლის ჩემს აღქმას პროდუქტის შესახებ.
ვთვლი, რომ ძვირადღირებული პროდუქტები უკეთესია ვიდრე იაფფასიანი.
<i>კორონავირუსის პანდემიის გავლენის შესაფასებელი კითხვები:</i>
კორონავირუსმა იქონია ზეგავლენა ჩემს სოციალურ აქტივობაზე და ყიდვით ქცევაზე.
კორონავირუსმა იმოქმედა ჩემს არჩევანზე თუ რომელ მაღაზიაში ვიყიდი.
კორონავირუსის დროს პროდუქტებს ძირითადად ონლაინ ვყიდულობ.
კორონავირუსის დროს ვცდილობ უფრო მეტად საჭირო პროდუქტია შევიძინო.
კორონავირუსის დროს დავფიქრდი იმაზე თუ როგორ გადავანაწილო ჩემი ბიუჯეტი უფრო ადეკვატურად.


- არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები;
- ნაწილობრივ ვეთანხმები;
- ვეთანხმები;
- სრულიად ვეთანხმები.

გამოკვლევა ჩატარდა ანონიმურად. მონაწილეთა იდენტობის დაცვის მიზნით, პიროვნების საიდენტიფიკაციო პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი) არ დაგვიფიქსირებია. მონაწილეთა კვლევაში ჩართვა მოხდა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების და სოციალური ქსელების გამოყენებით.

დროთა განმავლობაში საქართველოში პანდემიის პროცესში მომხმარებლის ქცევის ცვლილებების შესაფასებლად, ჩვენ შევადარეთ პასუხების განაწილება კვლევაში ჩართვის სხვადასხვა ეტაპზე. მონაცემები საქართველოს მცხოვრებთა შორის შეგროვდა სამ ეტაპად: 2020 წლის მარტი-აგვისტო, 2020 წლის სექტემბერი-2021 წლის იანვარი და 2021 წლის სექტემბერი.

რაც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მომხმარებლებს, მათი გამოკითხვა ჩატარდა ორ ეტაპად - 2020 წლის მარტ-აგვისტოში და 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში.

კვლევის ეტაპები ასახავდა საქართველოში კორონავირუსის გავრცელების სხვადასხვა ტალღას. საქართველოში რეგისტრირებული COVID-19-ის შემთხვევები კვლევით მოცული პერიოდის ეტაპების მიხედვით ნაჩვენებია სურათზე 5.



Data as of September 28, 2021; source - <https://www.worldometers.info/coronavirus/country/georgia/>

სურათი 5. საქართველოში დღიურად რეგისტრირებული COVID-19-ის შემთხვევები პანდემიის დაწყებიდან კვლევის პერიოდის დასრულებამდე (2020 წლის თებერვალი-2021 წლის სექტემბერი).

საქართველოში COVID-19-ის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა. თავდაპირველად, საქართველოში ვირუსის გავრცელება შეზღუდული იყო ვირუსის გავრცელების კონტროლისთვის დაწესებული მკაცრი რეგულაციების გამო.

თუმცა, შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ დაფიქსირდა ინტენსიური გადაცემა 2020 წლის სექტემბერიდან 2021 წლის იანვრამდე. 2021 წლის აპრილ-ივნისის მცირე ტალღას მოჰყვა მეოთხე ტალღა დაფიქსირებული შემთხვევებისა და დაღუპულების არსებითად მაღალი რაოდენობით. ვირუსის გადაცემამ პიკს მიაღწია 2021 წლის ბოლოს. 2022 წლის ივნისისთვის სულ რეგისტრირებული იყო 1 658 755 შემთხვევა, რომელთაგანაც, სამწუხაროდ, 16838 სიკვდილით დასრულდა (Worldometers, 2022).

კვლევის მონაცემთა ანალიზი მოიცავდა დამოკიდებული ცვლადებისთვის მოცემული კატეგორიის პასუხის სიხშირის გამოთვლას და მათი ასოციაციების დადგენას დამოუკიდებელ ცვლადებთან. ანალიზისთვის საკმარისი სტატისტიკური სიმძლავრის უზრუნველსაყოფად, კითხვებზე ლიკერტის სკალის შვიდი კატეგორიის პასუხები შეკუმშული იქნა სამ კატეგორიად:

ამრიგად, მომხმარებელი ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს პროდუქტის ეკოლოგიურ მაჩვენებელს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და არჩევანს მიმზიდველი სავაჭრო შეთავაზების სასარგებლოდ აკეთებს. შესაბამისად, დღესდღეობით კომპანიებისათვის სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა არ არის მარტო კეთილი ნების და ალტრუიზმის გამოვლინება. ეს კიდევ ერთი ასპექტია, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს გაამლიერონ თავიანთი მიმზიდველობა ბაზარზე არსებულ კომპანიებს შორის, დაიმსახურონ მომხმარებლის ნდობა, გააუმჯობესონ მთავრობასთან ურთიერთობა და შეიქმნან პოზიტიური ბრენდის იმიჯი ინვესტორების ცნობიერებაში. იმისათვის, რომ ეფექტიანად გამოიყენონ მდგრადი განვითარების ფაქტორები და შესაძლებლობები ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად, წარმოებებს მოუწევთ შეისწავლონ მდგრადი განვითარების გავრცელების კონცეფციის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე.

მომხმარებლის ქცევა და კულტურათშორისი განსხვავებები. გლობალიზაციამ ბიზნეს სფეროში მომუშავე კომპანიები და პირები სხვადასხვა კულტურული გამოწვევების წინაშე დააყენა. კულტურათშორის განსხვავებებს, საზოგადოების ცოდნის დონეს და ორგანიზაციულ ქცევას, თუ ისინი სათანადოდ არ არის შეფასებული, შეუძლია დააზიანოს ნებისმიერი ბიზნესის თანამშრომლები, მომხმარებლები, საზოგადოება და ინვესტორები. ქცევა და ნორმა, რომელიც სრულიად მიღებულია ერთ კულტურაში, შეიძლება დაუშვებელი იყოს მეორეში. ვინაიდან მომხმარებლის ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს კულტურაში დამკვიდრებული ნორმები, ის საკითხები, რომლებიც კულტურულ სხვადასხვაობას შეეხება კარგად უნდა იქნას შესწავლილი წინასწარ, ბიზნესის წარმოების დაწყებამდე. გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს არაეთიკურ საქციელად ამა თუ იმ ქვეყანაში, ვინაიდან ამ მხრივაც ქვეყნებსა და კულტურებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

ადგილობრივი კულტურის შესწავლა ბიზნესებს დაეხმარებათ უკეთ გაიცნონ მომხმარებელთა სურვილები, ხელთ არსებულ ინფორმაცია კი შეუძლიათ, იმისათვის გამოიყენებენ, რომ მომხმარებლებს სწორად მორგებული საბაზრო შეთავაზება გაუკეთონ. ეთიკური ბიზნესკლიმატის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია, თუ როგორია ამა თუ იმ კომპანიის ორგანიზაციული კულტურა. კომპანიებს, რომლებსაც სწორი ორგანიზაციული კულტურა და მართვის სტილი აქვთ, საზოგადოებაში დადებითი ეფექტის მოხდენა უადვილდებათ, რაც, ცხადია, მათ ბიზნეს საქმიანობაზე დადებითად აისახება.

მომხმარებელთა ლოიალობა. მომხმარებელთა ლოიალობა არის კომპანიის მიმართ გამოხატული ნდობა, რომლის დროსაც მომხმარებელი განმეორებით ახდენს კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტის შეძენას. ეს არის მომხმარებელთა კმაყოფილების, მომხმარებლის მხრიდან დადებითი გამოცდილების შედეგი და უკავშირდება იმ საქონლის ან მომსახურების საერთო ღირებულებას, რომელსაც მომხმარებელი იღებს მოცემული ბიზნესიდან.

ლოიალობასთან პირდაპირ კავშირშია მომხმარებლის კმაყოფილება. ოლივერი (Oliver, 1996) კმაყოფილებას განმარტავს, როგორც სურვილის დაკმაყოფილებას. როდესაც მომხმარებელი ერთგულია კონკრეტული ბრენდის მიმართ, მათზე ადვილად არ მოქმედებენ სხვა კომპანიის მიერ გაკეთებული შეთავაზებები. ისინი მზად არიან გადაიხადონ უფრო მეტიც კი, რათა მიიღონ იმავე ხარისხის საქონელი ან მომსახურება, რომელსაც კარგად იცნობენ და უყვართ. მომხმარებელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ შეძენილი პროდუქციის მოხმარება ამართლებს მიზნებს და აკმაყოფილებს მომხმარებლის საჭიროებებს. ამრიგად, კმაყოფილება წარმოადგენს მომხმარებლის აღქმას იმასთან დაკავშირებით მოახერხა თუ ვერა კომპანიამ კონკრეტული პროდუქტის შეთავაზებით მომხმარებლის საჭიროების დაკმაყოფილება.

კომპანიებმა უნდა მოახერხონ მომხმარებლის მოლოდინის გამართლება. თუკი კომპანიის მიერ გაკეთებული შეთავაზება გადააჭარბებს მომხმარებლის მოლოდინს

მყიდველი ამ გადაჭარბებით კმაყოფილი რჩება და აღნიშნული ფაქტი ხელს უწყობს ლოიალური მომხმარებლების რაოდენობის ზრდას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ შეძლებს მომხმარებლის მოლოდინის გამართლებას და პროდუქტის მიერ მიღებული სარგებელი იქნება იმაზე დაბალი, ვიდრე ვარაუდობდა მყიდველი, ეს გამოიწვევს უკმაყოფილების შეგრძნებას, რაც ნეგატიურად აისახება სამომავლო შენაძენებზე და მომხმარებელმა შეიძლება კონკურენტული შეთავაზებების ძებნაც კი დაიწყოს. შესაბამისად, მომხმარებელთა ლოიალობის მოპოვებისათვის აუცილებელია მომხმარებელთა მახასიათებლების და მათი ქცევის სიღრმისეული კვლევა.

მაშასადამე, შესყიდვის დროს ოპტიმალური შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანია დადგენილი და განსაზღვრული იქნას მომხმარებლების მოლოდინები. არარეალური მოლოდინის ქონა გამოიწვევს მომხმარებლების უკმაყოფილებას, ვინაიდან ვერ მოხერხდება შესრულება კომპანიის მხრიდან და ეს ნეგატიურად აისახება მომხმარებლის ლოიალობაზე.

2.2. საერთაშორისო ეკონომიკა და მომხმარებლის ქცევა

ბოლო წლებში იმპორტის და ექსპორტის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის დღითიდღე იზრდება და საერთაშორისო ვაჭრობამ ყოველდღიური ხასიათი შეიძინა. მომხმარებელი იჩენს ინტერესს სხვადასხვაგვარი პროდუქტების შეძენის მიმართ. ინტერნეტის მიერ შექმნილი შესაძლებლობების ხელშეწყობით კი საერთაშორისო ეკონომიკური მოვლენები უფრო მეტად გამარტივდა. საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომს ხდის ისეთ პროდუქტებს, რომელთა წარმოებაც მათ მშობლიურ ქვეყნებში ვერ ხერხდება რადგან ყველა ქვეყანას არ გააჩნია წარმოების რესურსი ამა თუ იმ მოთხოვნადი პროდუქტების საწარმოებლად. მიუხედავად საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისა, მომხმარებლების მიერ სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის შეძენაზე შეიძლება უარყოფითი

ზეგავლენა იქონიოს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულმა შეზღუდვებმა. შეზღუდვების ცნობილი ფორმებია: ტარიფები, კვოტა, ემბარგო - რაც გულისხმობს პროდუქციის სრულ აკრძალვას, და სანქცია, რაც პოლიტიკურ ნიადაგზე შეზღუდვას გულისხმობს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო თვეებში, 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრის საპასუხოდ რუსეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, როდესაც ევროპის მრავალი ქვეყანა აღმოჩნდა ენერგორესურსების დეფიციტის რისკის ქვეშ, რუსეთის ეკონომიკა კი სერიოზულად დაზარალდა რუსულ პროდუქტებზე სანქციების და დასავლური კომპანიების რუსეთის ბაზრიდან მასობრივი გასვლის შემდეგ. (Di Pippo, 2022).

მიუხედავად ბიზნესის საერთაშორისო დონეზე წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეებისა, მსხვილი კომპანიებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობა. საქონლის თუ მომსახურების გაყიდვა უცხო ყვეყანაში ზრდის გაყიდვებს და კომპანიისთვის მეტი შემოსავალი მოაქვს, ხოლო რაც შეეხება მომხმარებლებს, მათ უფრო ფართო არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევათ. საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობისას კომპანიებს მრავალი გამოწვევის გადალახვა უხდებათ. მათ უნდა შეისწავლონ კანონები, ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, მომხმარებლების გემოვნება, ეთიკის ნორმები, მომსახურე პერსონალის უნარები, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები. მაგრამ მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ხიბლი ხშირად იმდენად დიდია, რომ კომპანიები ცდილობენ მასთან დაკავშირებული რისკების გაანალიზებას და მათთან ადაპტირებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს კულტურული განსხვავებები. წარმატებული კომპანიები აცნობიერებენ და პატივს სცემენ განსხვავებებს ენაში, სოციალურ ფასეულობებში, ადგილობრივი ქცევის ნორმებში, რაც მათ ხელს უწყობს ბიზნესის წარმოებაში. კომპანიებმა წინასწარ, ბიზნესის დაწყებამდე უნდა მოახერხონ ადგილობრივი კულტურის, რელიგიის და ჩვეულებების შესწავლა. ამჟამად, თუკი კომპანია საერთაშორისო ბაზარზე ასპარეზობას გადაწყვეტს, მისთვის აუცილებელია მზაობის გამოჩენა სხვისი კულტურის და ტრადიციების

შესასწავლად და, საჭიროების შემთხვევაში, მუშაობის სტილის ადგილობრივ პირობებზე მორგებაც კი. ბევრ კომპანიას შექმნია პრობლემა, როდესაც აჩქარებულად, შეუსწავლელად შესულან სხვა ქვეყნის ბაზარზე ბიზნესის საწარმოებლად.

ამრიგად, გლობალური დინამიკა მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაზე და კომპანიებს, რომლებსაც აქვთ უნარი მოერგონ ახალ შესაძლებლობებს, უადვილდებათ წარმატებით იფუნქციონერონ გლობალურ ვაჭრობაში და მოიზიდონ მომხმარებლები. ცხადია, ყველა კომპანია არ არის მზად საერთაშორისო ბიზნესში ჩასართავად; მათ ამისათვის არც რესურსი გააჩნიათ და არც ის უნიკალური შეთავაზება, რაც მათ გლობალურ ბაზარზე აღიარებას მოუტანს. ასეთ შემთხვევაში, რეკომენდებულია ადგილობრივი ბაზრის უკეთესად შესწავლა და შესაბამისი შეთავაზების შემუშავება იმ ქვეყნის კულტურის შესწავლის შედეგად მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, რომელშიც კომპანია აპირებს მოღვაწეობას.

მომხმარებელთა გლობალური ტენდენციები და მათი განმსაზღვრელი ფაქტორები. იმისათვის, რომ მოხერხდეს საერთაშორისო მომხმარებელთა ტენდენციების შეცნობა, შესწავლილი უნდა იქნას ადგილობრივი ტენდენციები, ვინაიდან სწორედ ამ ტენდენციებს ეყრდნობა საბაზრო შეთავაზებები. მომხმარებლის ქცევის ტენდენცია განიმარტება, როგორც დამკვიდრებული ცვლილება მომხმარებლის დამოკიდებულებასა, საჭიროებასა და სურვილს შორის. მომხმარებლის მამოძრავებელი ძალის შესწავლა გვეხმარება ახალი ტენდენციის მიღმა არსებული ძალების შეცნობაში.

მომხმარებლების დამოკიდებულებას, ფასეულობებს და ქცევას გლობალურ თუ ადგილობრივ დონეზე განაპირობებს ფართომასშტაბიანი, მდგრადი და გაზომვადი ეკონომიკა, სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და გარემო ფაქტორები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მულტიკულტურული სამომხმარებლო სეგმენტები უფრო ახალგაზრდაა, უფრო დიდი ოჯახი აქვთ და ხშირ შემთხვევაში იწყებენ „პირველების“ რიგს - პირველი სამუშაო, პირველი სახლი ან ბინა, პირველი შვილი ა.შ. და ეს ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან საქონლის და მომსახურების ფართო სპექტრის

შესაძენად. მულტიკულტურული ბაზრის ზრდასთან ერთად კომპანიების ძალაუფლებებიც და შესაძლებლობებიც იზრდება. (Brannen, 2015).

ამრიგად, საერთაშორისო ბაზარზე სამოქმედო სტრატეგიული გეგმების ჩამოსაყალიბებლად და მარკეტინგული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია მომხმარებელთა მახასიათებლებზე დაკვირვება. კომპანიების სტრატეგიული გეგმები უნდა ემყარებოდეს კომპლექსური სისტემების ცოდნას, რომელიც მიზეზებსა და შედეგებს შორის ურთიერთობის ანალიზს მოითხოვს. როდესაც კომპანიის სტრატეგიული გეგმების ამოქმედება ხდება ისეთ რთულ საერთაშორისო ბაზრებზე, როგორებიც დღესდღეობით გვხვდება, კომპანიის წარმომადგენლებმა უნდა შეძლონ განვითარების სტრატეგიების შემუშავება აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით.

2.3. მომხმარებელთა ქცევა ექსტრემალურ სიტუაციებში

ექსტრემალურ სიტუაციებს, როგორებიცაა მაგალითად, ეკონომიკური კრიზისები, ეპიდემიები, ომები, სტიქიური უბედურებები თუ ინდუსტრიული კატასტროფები, შეუძლია, მომხმარებელი აიძულოს, გადააფასოს მისი პრიორიტეტები და ფასეულობები და რადიკალურად შეცვალოს მომხმარებლის ქცევა. ეს განსაკუთრებით აშკარად გამოიკვეთა ბოლო ათწლეულებში განვითარებული ეკონომიკური კრიზისების და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსის პანდემიის ფონზე.

მომხმარებლის ქცევა ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ეკონომიკური კრიზისის პირობებში მომხმარებელი შესაძლოა, იძულებული გახდეს ძირეულად შეიცვალოს ცხოვრების სტილი. ადამიანები, რომლებსაც აღარ აქვთ საშუალება, შეიძინონ ნორმალურ სიტუაციაში მათთვის ჩვეულებრივად ხელმისაწვდომი საქონელი თუ მომსახურება, ცდილობენ, მოახდინონ თავისი მოთხოვნილების მორგება შეცვლილი პირობებისათვის, გაიჩინონ ახალი მისწრაფებები და უფრო ეკონომიურად იცხოვრონ.

ეკონომიკური კრიზისის დროს იზრდება ადამიანისეული ფაქტორების და ურთიერთობების მნიშვნელობა, რაც ხშირად გამოიხატება ახალი კონტაქტების დამყარებითა და ძველი ურთიერთობების აღდგენაში. გარდა ამისა, მომხმარებლები უკვე სრულიად სხვა ასპექტებში ხედავენ მიღწევას. შესაბამისად, ამ პირობებში მათი ყიდვითი ქცევაც რადიკალურად იცვლება.

ეკონომიკური კრიზისის დროს სოციალური და გარემოს საკითხები ინარჩუნებენ აქტუალობას მომხმარებელთა აღქმაში. მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი განიხილავს და ცდილობს, პასუხისმგებლობით მოეკიდოს შენაძენს, იცავს ბალანსს ეთიკის ნორმებსა და ფინანსებს შორის, ანუ ახორციელებს „პასუხისმგებლიან“ შენაძენს.

ეკონომიკური კრიზისის დროს ფუნდამენტურად იცვლება მომხმარებლების დამოკიდებულება საბაზრო სივრცის მიმართ. ისინი უფრო გულდასმით აწონ-დაწონიან თუ რა წარმოადგენს მათთვის ფასეულობას, ხდებიან უფრო ეკონომიურები, ცდილობენ უფრო რაციონალურად გაანაწილონ არსებული ფინანსური საშუალებები და განახორციელონ აუცილებლობიდან გამომდინარე შეძენები. ეკონომიურობა ხდება ახალი ნორმა და მომხმარებელი იწყებს დანახარჯების კონტროლს. ბიზნესისთვის უკვე აღარაა საკმარისი, იყო ცნობადი ბრენდი, რადგან მომხმარებელი პროდუქტში კონკრეტულ სარგებელს ეძებს. კრიზისის პირობებში, როდესაც ეკონომიკური წინსვლა ნელდება, მომხმარებელი იწყებს საკუთარ ფინანსებში უკეთესად გარკვევას და ფინანსების მეტნაკლებად სწორად გადანაწილებას, ხდება უფრო ფრთხილი და აქცენტს მენტალური და ფიზიკური ენერჯისათვის საჭირო პროდუქტების შეძენაზე აკეთებს.

ეკონომიკური გაურკვეველობა უქმნის პრობლემებს საცალო ვაჭრობაში ოპერირებად მრავალ კომპანიას. ბრენდები, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და მომხმარებლები მათი ერთგულები რჩებოდნენ, ნაკლებად მოთხოვნადი ხდებიან. იმისათვის, რომ მოხმარებელმა პროდუქტი კრიზისის პირობებში შეიძინოს. მან სასურველ პროდუქტში უნდა დაინახოს სპეციალური ატრიბუტი, რომელიც მის საჭიროებას აკმაყოფილებს. ადგილმდებარეობა და სეზონურობა იძენს სულ უფრო დიდ

მნიშვნელობას და ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდება.

მომხმარებელმა პროდუქტში უნდა დაინახოს ხარისხი და აშკარა საჭიროება, მწარმოებელმა კი უნდა მოახერხოს მარკეტინგული კომპლექსის სწორად მორგება. მათ უნდა დაარწმუნონ მომხმარებლები, რომ მათ მიერ შეთავაზებული პროდუქტი განსხვავდება ბაზარზე არსებული სხვა შეთავაზებებისაგან. ამის მისაღწევად კომპანიებმა უნდა მოახდინონ პროდუქტის შეფუთვის, ბრენდირების და კომუნიკაციის სტრატეგიის კიდევ უფრო ეფექტიანად გამოყენება.

საცალო ვაჭრობაში დასაქმებული კომპანიები უნდა გახდნენ უფრო კრეატიულები და მოიფიქრონ გზები ამ პირობებში საბაზრო წილის შესანარჩუნებლად. მათ უნდა მოახდინონ მათი პროდუქტის შესახებ დადებითი მხარის სტიმულირება. ტექნოლოგიის დარგში მიმდინარე განვითარებებს მრავალმხრივი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ. ასევე ყურადღება ექცევა ელექტრონული საშუალებების გამოყენებას.

კრიზისის დროს მომხმარებლების მოსაზიდად ძველი მეთოდები, რომელთაც დროსაც აქცენტი მხოლოდ მაქსიმალური მოგების მიღებაზე კეთდებოდა, საკმარისი აღარაა. განსაკუთრებით აქტუალური ხდება მომხმარებლის ლოიალობის მოპოვება და შენარჩუნება ამისათვის, კი აუცილებელია იმის ზედმიწევნით შესწავლა თუ რა სურთ მომხმარებლებს და კონკრეტულად ვინაა სამიზნე ბაზარი.

თანამედროვე მსოფლიოში ურთიერთგადაჯაჭვული ეკონომიკური კავშირების პირობებში, ერთ ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური კრიზისები ხშირად ცდება მის ფარგლებს, რაც მოხმარებლის ქცევას რეგიონული თუ გლობალური მასშტაბით ცვლის. ასეთ დროს მომხმარებლის ქცევა საერთაშორისო მასშტაბით, სავარაუდოდ, მსგავს სქემას მისდევს, თუმცა, ქვეყნებსა და კულტურებს შორის არსებული განსხვავებების გამო, ეს პროცესები შეიძლება განსხვავებულადაც წარიმართოს.

ამრიგად, კრიზისულ მდგომარეობებს მივყავართ მომხმარებლის ქცევის მნიშვნელოვან მოდიფიცირებამდე რასაც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარი გამოვლინება აქვს და დამატებით შესწავლას საჭიროებს.

კორონავირუსის პანდემია და მასთან დაკავშირებული ცვლილებები მომხმარებლის ქცევაში. COVID-19, მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომი კორონავირუსი 2 (SARS-CoV-2)-ით გამოწვეული ახალი დაავადება, პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ქალაქ უუჰანში და მოკლე ხანში მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს გამოაცხადა საზოგადოებრივი ჯანდაცვის საერთაშორისო საგანგებო მდგომარეობა (WHO, 2020), ხოლო 11 მარტს კი - პანდემია (WHO, 2020). საბოლოოდ, ვირუსი გავრცელდა ყველა კონტინენტზე; 2022 წლის ივნისის მდგომარეობით, დაინფიცირდა 540 მილიონზე მეტი და დაიღუპა 6.5 მილიონამდე ადამიანი (Worldometer, 15 June 2022).

COVID-19-მა გამოიწვია მილიონობით ადამიანის სიკვდილი და მკვეთრად შეანელა ეკონომიკური აქტივობა მთელ მსოფლიოში (Donthu & Gustafsson, 2020; McKinsey and Company, 2020; McKinsey and Company, 2022). კორონავირუსის პანდემიის დაწყებიდან, მომხმარებლის ქცევაში შეინიშნა მნიშვნელოვანი ცვლილებები მსოფლიო მასშტაბით. ვირუსის გავრცელების სისწრაფემ, მისმა შემაძრწუნებელმა შედეგებმა და ვირუსის კონტროლის მიზნით შემოღებულმა შეზღუდვებმა მსოფლიო ბაზარზე და მომხმარებლის ქცევაში შეტანილი ცვლილებები გარდაუვალი გახადა. ბაზრებზე წარმოიშვა ეკონომიკის მთავარი პრობლემა, რაც რესურსების შეზღუდულ რაოდენობასა და ზოგიერ პროდუქტზე მყიდველთა მოთხოვნის გაზრდაში გამოიხატა. შექმნილი სიტუაციის შესაფასებლად მნიშვნელოვანია ფასეულობათა მიწოდების ქსელის ფუნქციონირებაზე დაკვირვება და მისი შეფასება.

ფასეულობათა მიწოდების ქსელი წარმოადგენს კომპანიის, მომწოდებლების, დისტრიბუტორების და უშუალოდ მომხმარებლების მიერ შექმნილ სისტემას, რომლებიც

ურთიერთთანამშრომლობენ მთლიანი სისტემის გასაუმჯობესებლად. (Armstrong & Kotler, 2005). აღნიშნულ სისტემაში ყველა მოქმედმა მხარემ უნდა იმოქმედოს ეფექტიანად, რათა ხელი შეუწყონ მთლიანი სისტემის ეფექტიან მუშაობას. პანდემიის დროს შესამჩნევი შეფერხებები დაფიქსირდა ფასეულობათა მიწოდების ქსელში სადისტრიბუციო არხებში კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების შედეგად. ინტენსიურად მოხმარებადი პროდუქტების მიმართ საბაზრო მოთხოვნამ გადააჭარბა მიწოდებას, რამაც მაღაზიებში დაცარიელებული თაროების გამოჩენა განაპირობა. არაკონტროლირებადი მოთხოვნის უარყოფითი ეკონომიკური შედეგი არის ის, რომ მიწოდების სიმცირე იწვევს პანიკას და ფასების მატებას.


მომხმარებლების ქცევის კვლევები ცხადყოფს, რომ ყიდვით ქცევაზე სერიოზულად მოქმედებს ემოციური ფაქტორები (Liljander & Strandvik, 1997; Leverin & Liljander, 2006; Yu & Bastin, 2010), მაშასადამე ალბათობამ, რომ ვერ შეძლებდნენ სასურველი პროდუქციის შეძენას და ფასის შესაძლო მომატების პერსპექტივამ გამოიწვია მომხმარებლების ქცევის ცვლილება და ჭარბი მოთხოვნა შექმნა ბაზარზე.

ნორმალურ სიტუაციებში ფასეულობათა მიწოდების ქსელი ფუნქციონირებს ისე, რომ მიისწრაფოდეს დანახარჯების კონტროლის და პროდუქციის შენახვის ხარჯის შემცირებისაკენ (სურათი 9). მუდმივად ხდება მოთხოვნის მონიტორინგი და მიწოდება მეტნაკლებად უტოლდება მოთხოვნას, რათა თავიდან იქნას აცილებული არასაჭირო დანახარჯი.

კორონავირუსის პანდემიის გამოჩენამ დაარღვია სისტემის თითოეული რგოლის ეფექტიანი ოპერირება. მოთხოვნის მოულოდნელმა, სწრაფმა ზრდამ გამოიწვია უმართავი საბაზრო სიტუაციის წარმოქმნა, რომლებსაც კომპანიებმა მიწოდება ვერ მოარგეს კორონავირუსის პანდემიის დროს არსებული პრობლემების პირობებში. იმ საცალო მოვაჭრეებმაც კი, რომლებიც ამაყობდნენ ლოიალური მომხმარებლების სიჭარბით და გამართული ქონდათ ეფექტიანი სადისტრიბუციო სისტემა და ფლობდნენ

კონკურენტულ უპირატესობას, ვერ მოახერხეს მომხმარებლების მიერ მოთხოვნილი რაოდენობის პროდუქტის მიწოდება პანდემიის გამო.

მოთხოვნა გაიზარდა იმ კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის მიმართ, რომლებიც აწარმოებდნენ ჯანმრთელობისათვის საჭირო პროდუქტებს, თავის მოვლის საშუალებებს, ჰიგიენურ და დასუფთავების საშუალებებს. შესაბამისად, ზოგიერთი



სურათი 9. ფასეულობათა მიწოდების სისტემის ფუნქციონირება.

კომპანიის მიერ წარმოებულმა პროდუქტმა არსებული პანდემიის პირობებში დაკარგა მნიშვნელობა და მოთხოვნა შემცირდა.

რაც შეეხება კომპანიების მოგებას, პანდემიის პირობებში ზოგიერთ უჩვეულო პროდუქტზე მოთხოვნის მატებამ განაპირობა ის, რომ ამ ეტაპზე მათი მწარმოებელი კომპანიები კარგ მოგებას იღებდნენ, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ როდესაც პანდემია დასრულდება და სიტუაცია დასტაბილურდება, მომხმარებლები სავარაუდოდ დაუბრუნდებიან ჩვეულ ქცევას, ისარგებლებენ სახლში არსებული მარაგით და თავს შეიკავებენ ანალოგიური პროდუქციის შეძენისაგან მარაგის ამოწურვამდე.

მომარაგების და მიწოდების ქსელში არსებულმა ხარვეზებმა და სავაჭრო ქსელებში პროდუქციის სიმცირის პრობლემებმაც გავლენა მოახდინეს მომხმარებლის ქცევის ცვლილებაზე. ამერიკაში საცალო მოვაჭრეების მხრიდან კვოტას შემოღება და ერთ მომხმარებელზე გაყიდული პროდუქციის რაოდენობის კონტროლი სწორი სვლა აღმოჩნდა, ვინაიდან ხელი შეუწყო მოთხოვნის მართვას.

მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიან მომხმარებლების ქცევას ხაზს უსვამენ განწყობის, აღქმის და მოტივაციის ზემოქმედების მნიშვნელობას მომხმარებლის ქცევაზე (Haq & Abbasi, 2016). ამრიგად, ნათელი ხდება თუ რატომ შეცვალეს მომხმარებლებმა თავიანთი რეგულარული ყიდვითი ქცევა და დაიწყეს პროდუქტების დიდი რაოდენობით შეძენა. ეროვნულ დონეზე არსებული შეზღუდვების არსებობამ და გაურკვევლობამ ამერიკის მომხმარებლების შემფოთება გამოიწვია. საკუთარი თავის და ოჯახის დასაცავად მომხმარებლებმა დაიწყეს საკვები პროდუქტების, სასმელი წყლის, სამედიცინო პირბადეების, ხელის სტერილიზაციის და ჰიგიენის საშუალებების დიდი რაოდენობით შეძენა.

ელექტრონულ ვაჭრობაში ჩაბმულ კომპანიებს ახალი შესაძლებლობები გაეხსნათ. მომხმარებლებს მოუწიათ პროდუქციის სახლიდან გაუსვლელად შეძენა, აქ კი, ცხადია, ონლაინ ვაჭრობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. შეზღუდვებმა მომხმარებლები ტრადიციული არხით მოვაჭრე კომპანიებისაგან შორს დააყენა და მოთხოვნა ელექტრონულ კომერციაში ფუნქციონირებადი კომპანიების მიმართ კიდევ უფრო

გაიზარდა. უფრო და უფრო მეტი კომპანია იყენებს ელექტრონული კომერციის შესაძლებლობებს.

ნორმალურ სიტუაციაში კომერციის აღნიშნული ფორმის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობა მომხმარებლების თვალში დამატებითი კომფორტია, რასაც მყიდველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. პანდემიის პირობებში კი, როდესაც ეპიდემიოლოგიური მოსაზრებებით დაწესებული შეზღუდვების გამო ფიზიკური სავაჭრო სივრცეების უმეტესობა დაიკეტა, შეძენის ელექტრონული პლატფორმების გამოყენება კომფორტის წყაროდან ფაქტიურ აუცილებლობად გარდაიქმნა. გარდა ამისა, ელექტრონული კომერცია ხელს უწყობს მომხმარებლისთვის კორონავირუსით დაავადების რისკის შემცირებას, რადგან ამცირებს სახლიდან გასვლის საჭიროებას და ამ დროს ვირუსთან კონტაქტში მოსვლის რისკს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პანდემიის საწყის ეტაპზე, როდესაც არც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა არსებონდა და არც მისი სამკურნალო მედიკამენტები და ადგილი ჰქონდა დაცვის პერსონალური საშუალებების (მაგალითად, სამედიცინო ნიღბები, ხელთათმანები, დეზინფექტანტები და ა. შ.) მკვეთრ დეფიციტს. შესაბამისად, ასეთ პირობებში დაავადების კონტროლის პრაქტიულად ერთადერთი გზა კონტაქტების მაქსიმალური შეზღუდვა იყო.

ამჟამად ამერიკაში მოქმედი კომპანიების უმეტესობა მიმართავს ელექტრონულ კომერციას და სთავაზობს მომხმარებლებს პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებულ სერვისებს. მსხვილი კომპანიებიც კი ფიქრობენ საკუთარი თავის პოპულარიზაციაზე მაგალითად, „Amazon.com“ ფართოდ ახდენს საკუთარი სერვისების სტიმულირებას ამერიკის და მსოფლიო ბაზარზე.

მხოლოდ მოთხოვნის არსებობა არაა საკმარისი კომპანიისათვის ღია საბაზრო სისტემაში ფუნქციონირებისათვის. კომპანიას უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი მოთხოვნის საპასუხოდ და მიწოდების უზრუნველსაყოფად. მყიდველთა რაოდენობის ზრდა იწვევს დეფიციტის წარმოშობას თუკი ვერ ხდება მისი დაკმაყოფილება.

ამჟამინდელ ეტაპზე კი ჩვენ ყველანი გავხდით საერთაშორისო ეკონომიკაში არსებული პრობლემების მომსწრენი.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კორონავირუსული პანდემიის დროს ელექტრონულმა კომერციამ საჭირო როლი შეასრულა და ფასეულობათა მიწოდების სისტემური ხარვეზები შეძლებისდაგვარად თავიდან ააცილა მომხმარებლებსაც და კომპანიებსაც. მაშინ როდესაც ტრადიციული არხები ან საერთოდ ვერ ფუნქციონირებდნენ ან შეზღუდულად ფუნქციონირებდნენ, ელექტრონულმა კომერციამ ახალი შეთავაზებები გაუკეთა მომხმარებელს.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომერციის ზრდა, რომელსაც პანდემიამდეც ჰქონდა ადგილი და კორონავირუსის ფონზე დაჩქარდა, განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა განვითარებად ქვეყნებში, სადაც მანამდე ვაჭრობის ეს მეთოდი ნაკლებად გავრცელებული იყო. მაგალითად, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მონაცემებით, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ონლაინ-შოპინგს 2019 წელს ინტერნეტის მომხმარებელთა 27% მიმართავდა, 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი 63%-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში ეს მაჩვენებელი თითქმის სამჯერ გაიზარდა ბაჰრეინსა (45%-მდე) და უზბეკეთში (11%-მდე). განვითარებულ ქვეყნებს შორის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი შეიმჩნეოდა საბერძნეთში, ირლანდიაში, უნგრეთსა და რუმინეთში (UNCTAD, 2022). ეს განსხვავებები ქვეყნებს შორის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და დიჯიტალიზაციის ხარისხში განსხვავებითაა განპირობებული და მათზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის თავისებურებები და გრძელვადიანი პერსპექტივები სათანადოდ შესწავლილი არაა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რასაც პანდემიის პერიოდში ჰქონდა ადგილი, იყო ინდუსტრიის მიმართ მომხმარებლის ნდობის კლება მომხმარებლების მიერ გენერირებული ინფორმაციისადმი (user-generated content) ნდობის ზრდის ხარჯზე. ეს ტენდენცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შეიმჩნეოდა და შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ახლო მომავალში მომხმარებლებთან ურთიერთობისადმი კომპანიების მიდგომაზე (Nosto, 2022).

პანდემიის პირობებში მომხმარებლის ქცევის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო პანიკური შესყიდვები და მათთან დაკავშირებული ნეგატიური ეფექტები, რაც ბოლო პერიოდის სხვა ტიპის ექსტრემალური სიტუაციების დროს ასე აშკარად გამოკვეთილი არ ყოფილა.

პანიკური ყიდვა წარმოადგენს ჯგუფურ ქცევას, მომხმარებლის მხრიდან, რომლის დროსაც ისინი მასობრივად ყიდულობენ პროდუქტს უჩვეულოდ დიდი რაოდენობით. პანიკური ყიდვა თავს იჩენს, მაშინ, როდესაც მოხმარებლები შიშობენ, რომ შესაძლოა პროდუქტი ბაზრიდან გაუჩინარდეს და ამა თუ იმ საჭირო საქონლის შექმნა შეულებელი გახდეს. პანიკური შექმნის გამომწვევი მიზეზი შეიძლება აგრეთვე იყოს მომხმარებლის შიშით პროდუქტის საბაზრო ფასის მომატებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ბანკიდან დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის გამოტანა პანიკის საფუძველზე. პანიკური ქცევის მთავარი ნეგატიური ეფექტი პროდუქციის სიმცირის ხელოვნურად შექმნაა, რომელიც საბოლოო ჯამში პროდუქტის საბაზრო ფასის აწევის მიზეზი ხდება.

1993 წელს კლეინის მიერ გამოთქმული მოსაზრებით (Klein, 1993), პანიკური ყიდვას საფუძველად უდევს ე.წ. „ცრუ ასფიქსიის სიგნალი“ (false suffocation alarm) რაც მომხმარებელს არასწორი ქმედებისაკენ წარმართავს და მას სპონტანური ყიდვითი ქცევისკენ უბიძგებს. კლეინის მტკიცებით, პანიკური ყიდვა, პანიკური შეტევების მსგავსად, განპირობებულია მომხმარებლის ტვინში საჭირო ჟანგბადის უკმარისობით და ამით გამოწვეული შიშის შეგრძნებით. იმისათვის, რომ მომხმარებლებმა შეზღუდონ პანიკური ყიდვა და დაიცვან საკუთარი ფინანსები, რეკომენდირებულია გაითვალისწინონ რაციონალური მოლოდინის დოქტრინის ძირითადი პრინციპები (სილაგაძე, 2010).

ამრიგად, კორონავირუსის პანდემიამ დიდი ზეგავლენა იქონია მომხმარებლის ქცევაზე. დღეისათვის, ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ როგორი იქნება მომხმარებლის ქცევის ტენდენციები ამ პანდემიის დასრულების შემდეგ. მომხმარებლის ქცევაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილება ალბათ უცვლელი დარჩება და ნორმად

გადაიქცევა, მაგალითად, ელექტრონული პლატფორმების სულ უფრო ხშირი გამოყენება, მაგრამ ქცევის ზოგიერთ ასპექტი ალბათ დაუბრუნდება ჩვეულ ფორმას. ამ ფონზე, აუცილებელია მომხმარებლის ქცევის შესწავლა დინამიკაში, რათა კომპანიებმა მოახერხონ ცვლილებებთან ადაპტირება და უზრუნველყონ მომხმარებლებისათვის საუკეთესო ფასეულობის შექმნა და შეთავაზება.

3. ანკეტური კვლევის შედეგები

3.1. საქართველოში მცხოვრები მომხმარებლების ყიდვითი ქცევის მახასიათებლები

კვლევის ფარგლებში 2020-2021 წლებში გამოკითხა საქართველოს 414 (N) მაცხოვრებელი, მათ შორის 214 (51.7%) ქალი და 200 (48.3%) მამაკაცი. კვლევაში 141 (34.1%) მონაწილე ჩაერთო პირველ ფაზაში, 186 (44.9%) - მეორე ფაზაში, ხოლო 87 (21.0%) გამოკითხული იყო მესამე ფაზაში. მონაწილეთა ასაკის მედიანა იყო 34 წელი (დიაპაზონი, 18-86 წელი). მონაწილეთა შორის 150 (36.2%) იყო 18-29 წლის, 178 (43.0%) - 30-49 წლის, ხოლო 86 (20.8%) იყო ≥ 50 წლის ასაკის. კვლევის დროს 292 (70.5%) მონაწილე იყო დასაქმებული, ხოლო 96 (23.2%) სტუდენტი. რესპონდენტთა მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა (N=414) მახასიათებლები


ცვლადები	კატეგორიები	N	%
ასაკობრივი ჯგუფები	18–29 წლის	150	36.2
	30–49 წლის	178	43.0
	≥ 50 წლის	86	20.8
ასაკი, წლებში	მედიანა (დიაპაზონი)	34 (18–86)	
სქესი	მამრობითი	214	51.7
	მდედრობითი	200	48.3
ამჟამად დასაქმებულია	დიახ	292	70.5
	არა	122	29.5
ამჟამად სტუდენტია	დიახ	96	23.2
	არა	318	76.8
კვლევაში ჩართვის დრო	2020 წლის მარტი-აგვისტო	141	34.1
	2020 წლის სექტემბერი-2021 წლის იანვარი	186	44.9
	2021 წლის სექტემბერი	87	21.0

პასუხები კითხვებზე, რომლებიც ეხება მომხმარებელთა ეკონომიკური მდგომარეობის პოტენციურ გავლენას მათ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის შეძენასთან, წარმოდგენილია სურათზე 10. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (93.5%) აღნიშნავს, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გავლენას ახდენს მათ შესყიდვის გადაწყვეტილებებზე. ეს გავლენა ასოცირდებოდა მდედრობით სქესთან (98.2% ქალებში, 85.5% მამაკაცებში; OR, 8.85; 95% CI, 2.51–29.80; $p=0.0006$).

ანალოგიურად, რესპონდენტთა უმეტესობამ (91.6%) აღნიშნა, რომ მათი საქონლის/მომსახურების არჩევანი შეიცვალა მათი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად. ეს გავლენა ასოცირდება ასაკობრივ ჯგუფთან და დასაქმების სტატუსთან. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები უფრო ხშირად ახდენდა გავლენას არჩევანზე, 30-49 წლის პირებში ვიდრე 18-29 წლის პირებზე (OR, 2.74; 95% CI, 1.06-7.12; $p=0.0384$). ანალოგიური სიტუაცია იყო ამჟამად დაუსაქმებელ პირებში დასაქმებულებთან შედარებით (OR, 3.80; 95% CI, 1.38–10.46; $p=0.0097$).

გამოკითხულთა დაახლოებით 1/3-მა აღნიშნა, რომ გრძნობდა გაღიზიანებას, როდესაც მათ არ შეეძლოთ სასურველი პროდუქტის ყიდვა (37.7%), გაურბოდნენ ზოგიერთ მაღაზიას (37.2%) ან სთხოვდნენ ვინმეს მათთან ერთად საყიდლებზე წასულიყო, რათა თავიდან აიცილონ ზედმეტი ყიდვა და ხარჯები (33.1%). ერთადერთი ასოციაცია, რომელიც დაფიქსირდა ამ ქცევებთან, იყო მდედრობითი სქესის დომინირება მათ შორის, ვინც თავს არიდებდა ზოგიერთ მაღაზიაში წასვლას იმის შიშით, რომ ზედმეტად ბევრს იყიდდნენ: ასეთები იყვნენ 57.1% ქალებში, ხოლო 42.9% მამაკაცებში; OR, 1.67; 95% CI, 1.10-2.53; $p=0.0165$.

გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (22.7%) აგრძელებდა პროდუქციის ყიდვას ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად. ეს ქცევა უფრო ხშირად ფიქსირდებოდა



სურათი 10. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ყიდვით გადაწყვეტილებებზე ეკონომიკური სიტუაციის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე, 2020-2021 წლები (N=414).

ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (28.0% ქალებს შორის 17.8% მამაკაცებში; OR, 1.80; 95% CI, 1.10-2.91); $p=0.0191$).


პასუხები მომხმარებელთა ქცევაზე ეფექტიანი სტიმულირების კამპანიის პოტენციური ზემოქმედების შესაფასებლად დასმულ კითხვებზე მოცემულია სურათში 11.

რესპონდენტთა უმეტესობამ (71.7%) ძვირადღირებული პროდუქტი იაფფასიანზე უფრო უკეთესად მიიჩნია. ეს მოსაზრება ასოცირებული იყო ხანდაზმულ ასაკობრივ ჯგუფებთან (ზრდა 52.7%-დან 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 80.9%-მდე 30-49 წლის და 86.1% ≥ 50 წლის ასაკობრივ ჯგუფებში; OR, 2.46; 95% CI, 1.33-4.55; $p=0.0041$ 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით; OR, 3.89; 95% CI, 1.78-8.50; $p=0.0007$ ≥ 50 წლის ასაკის ჯგუფის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით).

გამოკითხულთა კიდევ უფრო დიდი ნაწილი (79.5%) აღნიშნავს, რომ პირადად მათთვის ფუფუნება ნიშნავს ხარისხს. ეს მოსაზრება ასოცირებული იყო ასაკობრივ ჯგუფთან, სქესთან და დასაქმების სტატუსთან ბივარიანტულ ანალიზში, მაგრამ არცერთი ეს ასოციაცია არ დარჩენილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მრავალვარიანტულ ანალიზში.

გამოკითხულთა ნახევარზე ოდნავ მეტმა (53.9%) აღნიშნა, რომ მათ გააბედნიერებდათ თუ ძვირადღირებული პროდუქტების ყიდვას შეძლებდნენ. ეს მოსაზრება ასოცირებული იყო უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებთან (62.7% 18-29 წლის ასაკში, 55.6% 30-49 წლის ასაკში და 34.9% ≥ 50 წლის ასაკში; OR, 0.52; 95% CI, 0.27 – 0.99; $p=0.0463$ ≥ 50 წლის ჯგუფის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით) და სტუდენტობასთან (68.8% სტუდენტებს შორის და 49.4% არასტუდენტებში; OR, 2.13; 95% CI, 1.11-4.00; $p=0.0209$).

რესპონდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (41.8%) განაცხადა, რომ ისინი ცდილობენ შეიძინონ პროდუქტები, რომლებიც გააუმჯობესებენ მათ იმიჯს სხვების



სურათი 11. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ყიდვითი ქცევისა და პრეფერენციების შესაფასებელ კითხვებზე, 2020-2021 წლები (N=414).

ადამიანების თვალში. ეს ქცევა უფრო ნაკლებად იყო გავრცელებული ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (შესაბამისად 33.0% და 50.0%-ში; OR, 0.46; 95% CI, 0.29-0.70; $p=0.0003$) და ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში (44.7% 18-29 წლის ასაკში, 52.3% 30-49 წლის ასაკში და 15.1% ≥ 50 წლის ასაკში; OR, 0.21; 95% CI, 0.10-0.45; $p=0.0001$ 30-49 წლისთვის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით).

ბრენდის ლოგოს წარმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო გამოკითხულთა დაახლოებით ნახევრისთვის (53.9%). ეს მოსაზრება ასევე უფრო გავრცელებული იყო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში (58.0% 18-29 წლის ახალგაზრდებში, 62.3% 30-49 წლის ასაკში და 29.1% 50 წლის შემდეგ; OR, 0.30; 95% CI, 0.15-0.58; $p=0.0003$ ≥ 50 წლისთვის 18-29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით).

პროდუქტის ექსკლუზიურობას მნიშვნელობა ჰქონდა რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (40.8%), რომლებმაც განაცხადეს, რომ ისინი გადაიფიქრებდნენ სასურველი პროდუქტის ყიდვას, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ის ძალიან ბევრ ადამიანს აქვს. მრავალვარიანტულ ანალიზში ეს ქცევა ასოცირებული იყო უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფთან - დადებითი პასუხის სიხშირე იყო 50.7% 18-29 წლის ასაკში, 37.6% 30-49 წლის ასაკში და 30.2% ≥ 50 წლის ასაკში (OR, 0.52; 95% CI, 0.27-0.99; $p=0.0464$).

რესპონდენტთა უმეტესობისთვის მნიშვნელოვანი იყო ინდუსტრიაში მომუშავე პირების მოსაზრებები პროდუქტის შესახებ; გამოკითხულთა 59.2%-მა განაცხადა, რომ ისინი მოიძიებენ ინფორმაციას იმ პროდუქტის შესახებ, რომლის შექმნაც სურთ, ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანებისგან. ეს ქცევა უფრო ხშირად აღინიშნებოდა ქალებში (65.7%-ში) ვიდრე მამაკაცებში (50.7%-ში); OR, 1.54, 95% CI, 1.03-2.32, $p=0.0374$), მაგრამ არ გამოვლენილა ასოციაციები ასაკობრივ ჯგუფთან, დასაქმებულობასთან ან სტუდენტის სტატუსთან.


მათ მიერ შექმნილი პროდუქტის არჩევანზე რესპონდენტთა ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციები გავლენას ახდენდა გამოკითხულთა ნახევარზე მეტისთვის

(56.5%). ეს გავლენა ასოცირდებოდა მდედრობით სქესთან (62.0% ქალებში, 51.4% მამაკაცებში; OR, 1.56; 95% CI, 1.04–2.34; $p=0,0335$) და დასაქმებულობასთან (57.9% დასაქმებულებს შორის, 53.3% ამჟამად დაუსაქმებლებს შორის; OR, 1.79; 95% CI, 1.07–3.03; $p=0.0263$).

გამოკითხულთა დაახლოებით 3/4-ისთვის (74.6%) რეკლამების ხარისხს შეეძლოა პროდუქტის შესახებ მათი წარმოდგენის შეცვლა. ეს ქცევა ასოცირდებოდა ასაკობრივ ჯგუფთან, სქესთან და სტუდენტის სტატუსთან. ის უფრო ხშირად დაფიქსირდა 30-49 წლის ასაკის პირებში (80.3%), ვიდრე 18-29 წლის და ≥ 50 წლის რესპონდენტებმა (შესაბამისად, 68.0% და 74.4%; OR, 2.02; 95% CI, 1.07–3.82; $p=0.0298$ – 30–49 წლის ასაკობრივი ჯგუფი 18–29 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით) და უფრო იშვიათად ქალებში, ვიდრე მამაკაცებში (შესაბამისად, 70.0% და 79.0%; OR, 0.55; 95% CI, 0.34–0.87; $p=0.019$). ეს ქცევა ასევე უფრო ხშირი იყო არასტუდენტებს შორის, ვიდრე სტუდენტებს შორის (შესაბამისად, 77.0% და 66.7%; OR, 2.01; 95% CI, 1.03–3.93; $p=0.0420$).

გამოკითხვის მონაწილეთა 95.4%-მა აღნიშნა, რომ კორონავირუსის პანდემიამ გავლენა მოახდინა მათ სოციალურ აქტივობაზე და ყიდვით ქცევაზე, ასევე იმ საცალო ვაჭრობის დაწესებულებების არჩევანზე, საიდანაც უნდა იყიდონ (79.2%). ასევე, პანდემიამ რესპონდენტები აიძულა ეფიქრათ არსებული ბიუჯეტის უკეთეს გადანაწილებაზე (81.2%-ში) და დააწყებინათ მეტი პირველადი მოთხოვნის საქონლის შეძენა (84.5%-ში) და პროდუქტების ონლაინ ყიდვა (38.9%-ში) (სურათი 12).

ამრიგად, წინამდებარე კვლევის შედეგად მივიღეთ ადრე მიუწვდომელი ინფორმაცია საქართველოში მომხმარებლის ზოგადი ქცევის გარკვეული ასპექტების შესახებ და გამოვლინდა მათი კომპლექსური კავშირები დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან. მომხმარებელთა ეკონომიკური მდგომარეობა იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენდა მათ გადაწყვეტილების მიღებაზე საქონლის ან მომსახურების შეძენაზე. ფინანსური



სურათი 12. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები მომხმარებლის ქცევაზე კორონავირუსის პანდემიის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე, 2020-2021 წლები (N=414).

მდგომარეობის ცვლილებებმა განაპირობა ის, რომ მომხმარებლებმა შეცვალეს თავიანთი ყიდვითი ქცევა, რამაც გავლენა მოახდინა პროდუქტის არჩევანზე, გამოიწვია გაღიზიანება, როდესაც ვერ ახერხებდნენ შეძენას და მომხმარებლებს დააწყებინა სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება ხარჯების შეზღუდვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლის პირადი ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებებზე ფართოდ იყო გავრცელებული, ის არ იყო ერთგვაროვანი სხვადასხვა დემოგრაფიულ ჯგუფში. კერძოდ, უფრო მეტად დაზარალებდნენ ქალები, 30-49 წლის ასაკის პირებთან ერთად და იმჟამად დაუსაქმებელი პირები. აღნიშნული მოცემულობა გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის ის ჯგუფები, რომლებსაც ჰყავთ ოჯახები, გამოიმუშავენ შემოსავალს და პასუხისმგებელი არიან ოჯახის მოვლასა და მართვაზე საქართველოში.

გაღიზიანების განცდა, როდესაც ვერ ახერხებენ სასურველი პროდუქტის შეძენას და ხარჯვის შეზღუდვის სტრატეგიების გამოყენება არ იყო დაკავშირებული საბაზისო დემოგრაფიულ მონაცემებთან, გარდა იმისა, რომ ქალებში გამოვლინდა იმის უფრო მაღალი ალბათობა რომ ამ მიზნის მისაღწევად დაეყრდნონ სოციალურ კავშირებს (მაგ. დაიწყონ საყიდლებზე წასვლა სხვისი თანხლებით). მეორე მხრივ, ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად ყიდვის გაგრძელებაც უფრო სავარაუდო იყო ქალების მიერ, რაც ხაზს უსვამს დამატებითი კვლევის საჭიროებას რათა უფრო დეტალურად იქნას დადგენილი სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებლის პასუხთან ფინანსურ პრობლემებზე;

რესპონდენტთა ყიდვით ქცევაზე დიდი გავლენა იქონია მათმა დამოკიდებულებამ იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს სასურველ და მაღალი ხარისხის პროდუქტს, რაც დამოკიდებული იყო რამდენიმე ფაქტორზე. გამოკითხვამ გამოავლინა მაღალი ინტერესი ძვირადღირებული და ისეთი პროდუქტების ფლობის მიმართ, რომლებსაც რესპონდენტთა გარეგნულ იმიჯის გაძლიერება შეუძლია. გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტებისთვის ხარისხი ხშირად იგივედებოდა ფუფუნებასთან და უფრო მაღალი

ფასი ზოგადად უკეთესი ხარისხის ინდიკატორად ითვლებოდა. რესპონდენტებს გაცილებით ნაკლები ინტერესი ჰქონდათ იმ პროდუქტების მიმართ, რომლებსაც ბევრი სხვა ადამიანი ფლობდა და იმ პროდუქტებსადმი, რომლებსაც არ ჰქონდათ ბრენდის ლოგო. ძვირადღირებული პროდუქტის შეძენის შესაძლებლობა რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარს გააბედნიერებდა.

აღსანიშნავია, რომ ძვირადღირებული პროდუქტების მიმართ მზარდი ინტერესი შეინიშნება სხვა განვითარებად ეკონომიკებშიც, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (Kivenzoretal, 2015; Statista, 2022), და ასახავს მომხმარებელთა გაზრდილ ცნობადობას მდიდრული ბრენდების მიმართ, ამ ბაზრებზე ასეთი პროდუქტების უფრო ფართო ხელმისაწვდომობას და მათ ასოციაციას წარმატებულობის აღქმასთან, ისევე როგორც მომხმარებელთა უფრო მაღალსოციალურ მობილურობასთან (Kumar,2016; Kumaretal., 2022). შედეგად, ეს პროდუქტები ძალზედ სასურველი არის იმ მომხმარებლებისთვისაც კი, რომლებსაც არ შეუძლიათ მათი შეძენა, რაც ჩვენს კვლევაში გამოვლინდა ახალგაზრდებში, მათ შორის სტუდენტებს შორის ძვირადღირებული პროდუქტებისადმი დიდი ინტერესით.

ქართველი მომხმარებლების მიერ ჩვეულებრივ გათვალისწინებული ფაქტორი იყო პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მოძიება. ინდუსტრიაში მომუშავე პირების მოსაზრებები მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტთა უმრავლესობისთვის. გარდა ამისა, რესპონდენტის მიერ პროდუქტის არჩევანზე ხშირად გავლენას ახდენდნენ ოჯახის წევრები და მეგობრები. ასევე გამოვლინდა, რომ რეკლამებს კიდევ უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია და მთლიანობაში, რესპონდენტთა 3/4-მა შესაძლოა გადაიფიქროს შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება რეკლამის გამო. საყურადღებოა, რომ საქართველოში არ დაფიქსირდა პანდემიის პერიოდში ინდუსტრიის წარმომადგენლებისადმი მომხმარებლის ნდობის კლება რასაც ბევრ სხვა ქვეყანაში ჰქონდა ადგილი ბოლო წლებში.

შესყიდვის გადაწყვეტილებაზე გავლენის ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობა იცვლებოდა რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, ინდუსტრიის წარმომადგენლების, ოჯახის წევრებისა და მეგობრების აზრი უფრო მნიშვნელოვანი იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის, ხოლო მამაკაცები უფრო მეტად განიცდიდნენ რეკლამის გავლენას. გარდა ამისა, მამაკაცებს უფრო მეტად აინტერესებდათ პროდუქტები, რომლებიც აუმჯობესებს მათ იმიჯს, ვიდრე ქალებს.

ასაკი დაკავშირებული იყო ძვირადღირებული პროდუქტებისადმი მომხმარებლის დამოკიდებულებასთან. კერძოდ, კვლევის მონაწილეებს ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფებიდან უფრო მეტად აინტერესებთ პროდუქტები, რომლებიც აუმჯობესებს მათ იმიჯს, გამოაჩენს ბრენდის ლოგოს და არ არის ბევრი სხვა ადამიანის მფლობელობაშიც. ასაკი საპირისპიროდ იყო დაკავშირებული ძვირადღირებული პროდუქტების ყიდვის შეძლებისას ბედნიერებასთან, რაც უფრო მეტად ასევე ახალგაზრდები შეიმჩნეოდა და იკლებდა ასაკთან ერთად. 30-დან 49 წლის ასაკის პირები უფრო მეტად განიცდიდნენ რეკლამის გავლენას, ვიდრე ახალგაზრდები და ≥ 50 წლის ასაკის პირები. ამჟამად დასაქმებული პირები უფრო მეტად ითვალისწინებდნენ თავიანთი ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციებს, ხოლო სტუდენტები უფრო მეტად გრძნობდნენ თავს ბედნიერად, როდესაც შეძლებდნენ ფუფუნების პროდუქტების ყიდვას.

დემოგრაფიულ ჯგუფებს შორის შესყიდვის ქცევაში არსებული განსხვავებები, რომლებიც გამოვლინდა ამ გამოკითხვით, სავარაუდოდ, ასახავს მრავალფეროვნებას მომხმარებელთა მოტივაციებში, განსხვავებებს მათ სოციალურ როლებში, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხში და თავიანთ სტატუსში დარწმუნებულობის დონეში, ასევე ურთიერთქმედებებს ამ ქვეჯგუფების შიგნით და მათ შორის. ამ ფაქტორების დეტალურად გასაშუქებლად საჭირო იქნება უფრო სიღმისეული და კონკრეტული საკითხებისადმი მიმართული დამატებითი კვლევები.


3.2. კორონავირუსის პანდემიის გავლენა საქართველოში მცხოვრები

მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე

საკვლევ კითხვებზე საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის პასუხები მთლიანობაში და კვლევაში ჩართვის ეტაპების მიხედვით, რომლებიც კორონავირუსის პანდემიის სხვადასხვა ეტაპებს შეესაბამება, წარმოდგენილია სურათებში 13-15.

ყიდვით ქცევაზე მომხმარებლის ეკონომიკური სიტუაციის გავლენის ამსახველი ფაქტორებიდან, მულტივარიანტულ ანალიზში კვლევაში ჩართვის დროსთან ასოცირებული იყო მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის გავლენა შესყიდვის გადაწყვეტილებაზე. მთლიანობაში, ამ ფაქტორის გავლენა დაადასტურა რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (93.5%). COVID-19 პანდემიის გაგრძელებასთან ერთად, აღინიშნა ამ გავლენის სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მატება. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც დაადასტურა მათი ფინანსური მდგომარეობის გავლენა ყიდვით პრაქტიკაზე კვლევის დასაწყისში, 2020 წლის მარტ-აგვისტოში გამოკითხულთა 91.5%-ს შეადგენდა, კვლევის ბოლო ეტაპზე, 2021 წლის სექტემბერში კი ამ მაჩვენებელმა 98.9%-ს მიაღწია, ანუ აღინიშნებოდა თითქმის ყველა შემთხვევაში (OR, 9.67; 95% CI, 1.16–80.39; $p=0.0358$). (სურათი 13).

საქართველოში მცხოვრები მომხმარებლის ყიდვით ქცევაზე მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის გავლენის ამსახველი სხვა ფაქტორებიდან კვლევაში ჩართვის ვადებთან მულტივარიანტულ ანალიზში ასოცირებული იყო აგრეთვე პროდუქციის ყიდვის გაგრძელება ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, რაც მთლიანობაში, გამოკითხულთა უმცირესობაში, 22.7%-ში აღინიშნა. პანდემიის პირობებში ამ ქცევის სიხშირემ დროთა განმავლობაში დაიკლო 31.2%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში 21.0%-მდე 2020 წლის სექტემბერი-2021 წლის იანვარში და 12.6%-მდე 2021 წლის სექტემბერში. ეს კლება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო როგორც 2020 წლის სექტემბერი-2021 წლის იანვარი პერიოდის 2020 წლის მარტი-აგვისტოსთან შედარების დროს (OR, 0.56,




სურათი 13. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ეკონომიკური სიტუაციის ზეგავლენის შესაფასებელ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით (* მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებაზე კვლევაში ჩართვის ეტაპებს შორის ბივარიანტულ ანალიზში, $p < 0.05$).

95% CI, 0.33–0.95; $p=0.0303$), ისე 2021 წლის სექტემბრის 2020 წლის მარტი-აგვისტოსთან შედარების დროს (OR, 0.33; 95% CI, 0.16–0.71; $p=0.0043$). (სურათი 13).

საქართველოში მცხოვრები რესპონდენტებისათვის მულტივარიანტულ ანალიზში არ გამოვლინდა კვლევაში ჩართვის ვადებთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის გავლენის ამსახველ ჩვენს მიერ შესწავლილ სხვა ფაქტორებთან. ასეთი ფაქტორები იყო საქონლისა და მომსახურების არჩევანის შეცვლა ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად, რესპონდენტების გაღიზიანება, როდესაც მათ არ შეეძლოთ სასურველი პროდუქტის ყიდვა და რესპონდენტების მიერ ხარჯების შეზღუდვის მიზნით გარკვეული სტრატეგიების გამოყენება, მაგალითად, ზოგიერთი მაღაზიაში შესვლისთვის თავის არიდება თუ ზედმეტი ყიდვის თავიდან ასაცილებლად ვინმესთან ერთად ერთად წასვლა საყიდლებზე (სურათი 13). თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიმჩნეოდა ასოციაციები ბივარიანტულ ანალიზში (სურათი 13), მულტივარიანტულმა ანალიზმა ეს კავშირები არ დაადასტურა.

საქართველოში მცხოვრებ მომხმარებელზე ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის ამსახველი ფაქტორებიდან მულტივარიანტულმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ასოციაციები შეხედულებასთან, რომ ძვირადღირებული პროდუქტები უკეთესია, ვიდრე იაფფასიანი. მთლიანობაში, ასე ფიქრობდა რესპონდენტთა უმეტესობა (71.7%).

COVID-19 პანდემიის პირობებში, ეს შეხედულება დროთა განმავლობაში უფრო გავრცელდა. თუ კვლევის პირველ ეტაპზე, 2020 წლის მარტ-აგვისტოში ის აღინიშნებოდა საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა 61.7%-ში, კვლევის მეორე ეტაპისათვის, 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში, აღინიშნა მატება 75.3%-მდე, მესამე ეტაპზე, 2021 წლის სექტემბერში კი 80.5%-ს მიაღწია. ეს მატება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდის შედარებისას როგორც 2020 წლის სექტემბერ-2021




სურათი 14. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები ეფექტიანი სტიმულაციის გავლენის შესაფასებელ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით (*მიუთითებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებაზე კვლევაში ჩართვის ეტაპებს შორის ბივარიანტულ ანალიზში, $p < 0.05$).

წლის იანვართან (OR, 2.10; 95% CI, 1.23-3.59; p=0.0065), ისე 2021 წლის სექტემბერთან (OR, 2.01; 95% CI, 1.02-3.98, p=0.0445). (სურათი 14).

აღსანიშნავი იყო დროთა განმავლობაში იმ რესპონდენტთა წილის კლება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ფუფუნების პროდუქტების ყიდვის შესაძლებლობა მათ გააბედნიერებდა. მთლიანობაში, ეს შეხედულება აღენიშნა საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა ნახევარზე ოდნავ მეტს (53.9%), მაგრამ მისი გავრცელება შემცირდა 63.8%-დან 2020 წლის მარტ-აგვისტოში 48.5%-მდე 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვარში და 47.1%-მდე 2021 წლის სექტემბერში (სურათი 14). მულტივარიანტულ ანალიზში ეს განსხვავებები კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო 2020 წლის მარტი-აგვისტოსთან პერიოდის შედარებისას, როგორც 2020 წლის სექტემბერ-2021 წლის იანვართან (OR, 0.48; 95% CI, 0.29-0.7; p=0.025) ისე 2021 წლის სექტემბერთან (OR, 0.49; 95% CI, 0.28-0.89; p=0.0178). მომხმარებელს ყიდვით ქცევაზე მოქმედ ფაქტორთა ამ ჯგუფისათვის არ შეიმჩნეოდა დროთა განმავლობაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ რესპონდენტთა წილში, რომლებსაც უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია პროდუქტის ექსკლუზიურობა (მთლიანობაში, 40.8%) ან პროდუქტზე თვალსაჩინოდ გამოსახული ბრენდის ლოგოს არსებობა (მთლიანობაში, 53.9%).

კვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში ასევე სტაბილური დარჩა იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ცდილობენ შეიძინონ პროდუქტები, რომლებიც გააუმჯობესებენ მათ იმიჯს სხვა ადამიანების თვალში, (საბოლოო ჯამში, 41.8%). გამოკითხულთა დაახლოებით 3/4-ისთვის (74.6%) რეკლამების ხარისხს შეეძლო შეცვალა მათი წარმოდგენა პროდუქტის შესახებ, მაგრამ ეს გავლენაც არ იყო დაკავშირებული კვლევაში ჩართვის ვადებთან (სურათი 14). კვლევაში ჩართვის ვადები სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ასევე არ უკავშირდებოდა რესპონდენტთა პრაქტიკას, პროდუქციის ყიდვამდე გაიგონ ინდუსტრიაში მომუშავე პირების აზრი, და მათ დამოკიდებულებას, რომ „ფუფუნება ნიშნავს ხარისხს“, ასევე ოჯახისა და მეგობრების პრეფერენციების გავლენას რესპონდენტის მიერ პროდუქტის არჩევაზე. (სურათი 14).



სურათი 15. საქართველოში მცხოვრებ რესპონდენტთა პასუხები კორონავირუსის პანდემიის უშუალო ზეგავლენასთან დაკავშირებულ კითხვებზე კვლევაში ჩართვის დროის მიხედვით (* სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება კვლევაში ჩართვის ეტაპებს შორის ბივარიანტულ ანალიზში, $p < 0.05$).

